რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 12 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" ნაცვლად.

ფასი 10 კაპ.

ხელის მოწერის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. და სადგურებზე ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება [illegible] სტრიქონამდე 5 მანეთი [illegible] შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ ხელნაწერთა შესახებ რედაქცია არ იძლევა ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 94 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 94

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

სამტრედიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სარაიონო კოლექტივის წევრნი ღრმის მწუხარებას გამოსთქვამენ სად. სარიყამიშში ამხ.

თედორე ბურჯანაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი

მოთავსებულია „ერთობის" რედაქციის გვერდით. საქალაქო არჩევნების საქმეთა შესახებ მდივანი ცნობებს იძლევა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ხუთშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 7 საათზე

თფ. ქალთა I-ლ გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქ.) შესდგება

შეერთებული კრება

ცენტრალურ საარჩევნო სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტისა, საოლქო კომიტეტისა, თფილისის კომიტეტისა და ყველა რაიონულ კოლექტივებისა.

დღის წესრიგი: 1) საარჩევნო კომიტეტის მოხსენება, 2) 83 ამხანაგების არჩევა საუბნო საარჩევნო კომისიებში მონაწილეობის მისაღებათ, 3) საარჩევნო კამპანიის გეგმა.

მეორე უბნის ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი

ხუთშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 8 ს. კომიტეტის სადგომში (ჭავჭავაძის ქ. № 9)

იწვევს მეორე უბნის პარტიულ წევრთა

საერთო კრებას

ვსთხოვთ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ.

მეორე უბნის ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი.

მიტინგი

ხუთშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში შესდგება მიტინგი

საავადმყოფოთა მოსამსახურეებისა და სანიტარ-ექიმებისა.

ამხ. აგარონოვი წაიკითხავს მოხსენებას მუნიციპალურ პროგრამაზე.

8 კლასიანი გიმნაზია ე. ს. გილანიშვილისა

სრული უფლებიანი მოსწავლეთათვის ორთავ სქესისა.

თხოვნების მიღება: პირველ სამ დაწყებითი განყოფილებებში, და 1, 2, 3 კლასში გიმნაზიისა, ყოველ-დღე დილის 9—12 საათამდე, ნაძალადევი ლოტკინის ქუჩა № 36, ბაბაყევის სახლი.

2—2

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

რადგან ზაფხულის სიცხეებს მოსალოდნელია თან მოჰყვეს სხვა და სხვა ეპიდემიური და კუჭის ავადმყოფობანი, ამიტომ, ეპიდემიების თავიდან ასაცილებლად, კატეგორიულად ეცხადებათ ყველა სახლის პატრონებს, რომ ყოველი ღონე იხმარონ თავიანთ ეზოში და ქუჩაში სისუფთავის დასაცავად. ისინი ვალდებულნი არიან ყოველდღიურად გაასუფთავონ ეზო და ქუჩა ყოველგვარ ნაგვისა და სიბინძურისაგან.

აგრეთვე მოვაგონებთ ყველა ვაჭრებს, რომ მათაც დაიცვან სისუფთავე თავიანთ სავაჭროებში და დადგენილების თანახმად გადაახურონ ყოველგვარ გასაყიდ სანოვაგეს ქისეია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დადგენილებათა დამრღვევს მძიმე ჯარიმა გადაახდევა.

ამასთანავე ვსთხოვთ ბინის ყველა დამქირავებლებს და მოქალაქეთ საცა კი შეამჩნევენ ამ მოთხოვნილებათა დარღვევას და ვისგანაც არ უნდა იყოს ის დაუყონებლივ შეატყობინონ ამის შესახებ სამედიცინო-სასანიტარო ბიუროს ქალაქის საბჭოში, 3 განყოფ.

2—1

თფილისის ქალაქის თავი ალ. ხატისოვი.

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები გამოცემა საოლქო კომიტეტისა.

მსურველს შეუძლია მიმართოს საშა ჩიჯოვიძეს.

ფერშალი

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კბის [illegible], მასაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4.

ექიმი კ. ი. მგარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

[illegible] ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისში

ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ხირურგიის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდის. პუშკინის ქუჩა, ვიტგინსკი სახლში.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606 და 914 ს—შესხაპურება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისში

ექიმ გ. ი. ჯოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ. და ს. 6—8 დ. საათამდე

ექიმი გ. გ. მეხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] სახ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეშხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულ სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ქ. ქუთაისში.

ექიმი შ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

6 ივლისს, თფილისიდან ბორჯომში მიმავალ მატარებელში № 17

დამრჩა

ერთი შეკვრა საშინაო ნივთებისა, რომელშიაც იყო რკინის-გზის სამ. მოწმობა, მოცემული მოწმობა და სურათი, მპოვნელს ვსთხოვ დაიბრუნოს უკან სურათი და მოწმობა, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს. ჩემი ადრესი: თფილისი, საქონლის სადგური, ბაჩილ გაბრიელის ძე ზუბაძეს.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ზრახვა რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულად	20 „
9. ჩვენი წიგნაკი ქართულად	20 „
10. ოთხი ძმა ქართულად	25 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „
16. კრიტიკა აგრარული პროგრ. მისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულად.
2. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.
3. უწყება, მე 6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) ა. ს.-დ. მ. პ. ფასი 15 „
4. რა უყოთ მიწას პ. მასლოვისა, ჯერ კიდევ არ დაბეჭდილა ეს ბროშურა რუსეთში.

ამასთანავე ვაცხადებთ: პროვინციელ ორგანიზაციებს დავუთმობთ, რომლებიც 50 ცალ ნაკლებს არ გამოიწერს ოცი პროცენტის დაკლებით მანეთი. იქ საცაც ბანდეროლით არ შეიძლება გაგზავნა, არამედ ფოსტით უნდა იქნას გაგზავნილი, პროცენტი ეთმობათ 15 კ. მანეთზე. ფული უნდა იქნას წინასწარ გამოგზავნილი, ფასდადებით ბროშურები არ იგზავნება.

ამხანაგებო! გამოიწერეთ ბროშურები, გაავრცელეთ ხალხში, რომ ამით საშუალება მოგვეცეს სხვადასხვა ახალი ბროშურები გამოვცეთ და გავავრცელოთ ხალხში.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ზოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბიურო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბიურო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა საბჭოს ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში). კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

რევოლიუციონური კლასების ორგანიზაცია.

ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებას განაგრძობს და იგი რევოლიუციონურ კლასებს წინააღმდეგ ირაზმება.

სამი-ოთხი თვის განმავლობაში მან ხალხის მოპოვებულ თავისუფლებას რამდენჯერმე უღალატა და ამით თავისი ისტორიული მისია პირუთვნელათ შეასრულა, იგი ახლა დროებითი მთავრობიდან მთლად გავიდა სახელმწიფო საქმე, რომელსაც იგი მთელი საუკუნოების განმავლობაში შეჰტრფიალებდა ხელიდან გააგდო და თავის მოწინააღმდეგე კლასს უთმობს.

ასეთი ფინალი მისი ჩვეულებრივი ხერხია და იგი მუდამ იმის ცდაში ყოფილა ფართო შეგნებული მასა სოციალისტებისათვის ოპოზიციაში ჩაეყენებია. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზიული კლასების წარმომადგენლები და იდეური ხელმძღვანელნი სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე უარს ამბობენ და ხალხის თავისუფლებას ზურგიდან დაცემას უპირებენ.

მას უნდა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური და სოციალური უკუღმართობის პასუხის მგებელი სოციალისტები გახადოს და პილატესებურად ხელები დაიბანოს.

რუსეთის ბურჟუაზიამ და მისმა მონარქიულ ძველმა მთავრობამ იმპერიალისტური პოლიტიკის მეოხებით რუსეთის მთელი დემოკრატია წარმოუდგენელ ეკონომიურ კრიზისში ჩააყენა და მთელი სახელმწიფოს დიდი უმრავლესობა ნივთიერათ და კულტურულათ დააქვეითა; მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება მოშალა და იგი მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა—და სწორედ ასეთ პირობებში იგი სახელმწიფო მართვა-გამგეობიდან გარბის, მოშლილ დარღვეულ ცხოვრების მოწესრიგებას რევოლიუციონურ დემოკრატიას ავალებს.

ჩვენ გამოვლით მძიმე პირობებში, ვინაიდან სამი წლიანი იმპერიალისტური ომი კვლავ გრძელდება და მისი დამღუპველი მოვლენები დღითი-დღე მწვავდება, იგი ახლა სახელმწიფოსათვის საჭირო ფინანსიურ დახმარებაზე ხელს იღებს, თავისუფლების სესხს ბოიკოტს უცხადებს. სამრეწველო სპეკულიაციას უზომოთ აძლიერებს, მუშების სამართლიან ხელფასის მომატებას ეწინააღმდეგება, მუშებს ლოკაუტებით და ქარხნების დახურვა დაკეტვით ემუქრება და ბევრგან ეს მუქარა სისრულეშიაც მოიყვანა. ხალხის აუწერელ გაჭირვებას ის არავითარ ანგარიშს არ უწევს და უმაგალითო ექსპლოატაციის მეოხებით მილიარდებს ისაკუთრებს. მაგრამ იგი ამით არ კმაყოფილდება, ეკონომიურ ბატონობასთან ერთად პოლიტიკური ბატონობაც სურს და სახელმწიფოს მართვა-გამგეობა თავის მონოპოლიათ უნდა გადააქციოს. მაგრამ რევოლიუციონურმა კლასებმა მისი ასეთი აბსოლიუტური ბატონობა დიდიდან რევოლიუციისა დაგმო, მას კრიჭაში ჩაუდგა და მთელი მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა რევოლიუციონურ ორგანოების კონტროლ ქვეშ დააყენა. რევოლიუციონურმა ორგანოებმა მისი საგარეო იმპერიალისტური პოლიტიკა და შინაურ ცხოვრებაში გაბატონება რევოლიუციონურ კლასების ნება-სურვილებს დაუმორჩილა. სწორედ ბურჟუაზიის გათიშვა, მისი კონტრ-რევოლიუციური მოძრაობა ამ მომენტიდან იწყება და აქედან მოყოლებული ის სისტემატიურათ მართველობიდან გარბის და რევოლიუციონურ კლასებს ზურგიდან ექცევა.

ამ შემთხვევაში მას ზურგს უმაგრებს ნაძირალები, ძველი რეჟიმის ერთგული აგენტები და ზოგიერთა უპასუხისმგებლო მემარცხენეთა დეზორგანიზაციული გამოსვლები.

ბურჟუაზიამ თავის გარშემო უკვე შეაკავშირა ყველა რევოლიუციის უკმაყოფილო ელემენტები და დღეს თავად-აზნაურობამ, დიდმა მემამულეებმა, არქი-რეაქციონერებმა კადეტთა პარტიის გარშემო მოიყარეს თავი. ამ ჟამათ სხვა გაბატონებული პოლიტიკური პარტიები აღარ არსებობენ, ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალები კადეტებში ხედავენ ხსნას, კადეტებს აღვიძებენ [illegible] და მათი დროშის ქვეშ აფარებენ თავს.

დღეს მთელი რუსეთი ორ დიდ ბანაკათ დაიყო, ბურჟუაზია და მისი მოწინააღმდეგე რევოლიუციონური კლასები. პირველები კადეტების გარშემო გროვდებიან, ხოლო მეორენი კი რევოლიუციონურ ორგანოების—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების.

სამინისტროში მომხდარმა უკანასკნელმა კრიზისმა მდგომარეობა უფრო გაამწვავა და მთელი ბურჟუაზია კადეტების მეთაურობით განზე გადგა, დროებით მთავრობის გარეთ კონტრ-რევოლიუციონური საქმეების მოწყობა დაიწყო და იგი ძლიერი შემოტევისათვის ემზადება.

ახლა რევოლიუციონური კლასები იძულებული ხდებიან ბურჟუაზიის მიერ მიტოვებული ცარიელი ადგილები დაიკავონ და მით რევოლიუციონურ ორგანოების სრული დიქტატური გამოაცხადონ. დეპეშის ცნობით დროებითი მთავრობა რევოლიუციის ხსნის მთავრობათ გამოცხადდა და რევოლიუციონურ ორგანოებს სავსებით ემორჩილება.

ახლა სწორეთ შინა და გარეშე მტრიდან რევოლიუციის დახსნა და მისი განმტკიცება სწორეთ ხალხის რევოლიუციონურ ორგანოებს და მის მორჩილ რევოლიუციის ხსნის მთავრობას შეუძლიან. ამათ უნდა შეაკავშირონ რევოლიუციონური დემოკრატია, შეგნებულათ და გამიზნულათ ამოქმედონ და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს, იქნება ეს მარჯვნიდან თუ მარცხნიდან გაუმკლავდენ. რევოლიუციის ხსნა რევოლიუციონურ კლასების ორგანიზაციულათ შეკავშირებაშია, ამ მთავარი მიზანი, რასაც უნდა ემსახურებოდეს ყველა რევოლიუციონერი და რევოლიუციონური კლასები.

პრესა.

მართლმორწმუნე „ბოლშევიკი": რ. კალაძე კვლავ მეჩეთის კოშკზე წამოსკუპებულა და მართლმორწმუნეთ მოუწოდებს: ერთი არს ღმერთი სოციალიზმისა ლენინი და მე ვარ მისი ჭეშმარიტი მოციქული...

კვირის „ბრძოლაში" რ. კალაძე სწერს:

„მუშების მოთხოვნით „ბოლშევიკების" ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ" მოწოდება დაბეჭდა. და აი, 9 ივნისს შუაღამისას აუწყებენ სიეზდის თავმჯდომარეს, მომავალ [illegible] მინისტრს „სოციალისტ" გეგეჭკორს, რომ „ბოლშევიკები" სადემონსტრაციოთ ემზადებიანო! ისიც აღარ აყოვნებს: კრებას დიდი „რევოლიუციონური" ალტყინებით მიმართავს და მოუწოდებს, რომ ომი გამოუცხადონ... როგორ გგონიათ... კონტრ-რევოლიუციონერებს? არა! მხოლოდ „ბოლშევიკებს"! ასედაც მოიქცნენ".

მერე არც ახლა გჯერა ჭეშმარიტო სოციალისტო, რ. კალაძევ, რომ ეგ. გეგეჭკორი მართალი იყო, როცა სთქვა: ასეთი მოწოდების შედგენაში „ტალახიანი ხელების" მქონე ხალხს უდევთ წილიო?!

შემდეგ რ. კალაძე ლექციას კითხულობს დისციპლინის შესახებ. მისი აზრით სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო პეტროგრადის „შეგნებული პროლეტარიატი და ჯარი", რას მიქვია სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობისადმი დამორჩილება! რ. კალაძე აი აყენებს კითხვას:

„ვინ ვის უნდა დამორჩილებოდა 10 ივნისს: მუშები საბჭოების სიეზდს,—თუ სიეზდი პეტროგრადის შეგნებულ მუშებს? ამ კითხვაზე თვითონ პეტროგრადის მუშებმა ასე უპასუხეს: ჩვენ საბჭოების სიეზდს კი არ ვემორჩილებით, რომელიც შეიძლება რუსეთის პროვინციალურ დემოკრატიის უფრო გამოხატავს, არამედ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც მთელი რუსეთის შეგნებულ შეკავშირებულ და ერთი დროშის ქვეშ დარაზმულ პროლეტარულ დემოკრატიის წარმოადგენს... აი ჭეშმარიტი დისციპლინაც ეს არის!"

აი რა ყოფილა თურმე დისციპლინა! რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას მცირე ნაწილის კონტრ-რევოლიუციონერებისა გინდა პროვოკატორების თავზე თავიანთ [illegible] მოახვევს! „ბოლშევიკების" ენით რომ

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე, ჩრდილოეთ ფრონტზე, განსაკუთრებით ვილენისა და დვინის მიმართულებით დაიწყო შეტაკებები. აქ რუსის ჯარმა დაბა კრევოს მიმართულებით მტრის სანგრების პირველი წყება დაიკავა. 1000 მეტი გერმანელი ჯარისკაცი ტყვეთ წამოიყვანა, მაგრამ აქაც ზოგიერთა პოლკების უდისციპლინობამ და მორალურმა სისუსტემ თავისი გაიტანა. რუსის ჯარის წინსვლა შეჩერდა.

სამაგიეროთ ჩრდილოეთ გალიციიდან და რუმინიის ფრონტიდან მტერი შემოტევას განაგრძობს. იგი რუსის ჯარს ორსავ მხრივ რკინის სალტებს უჭერს და მთელი გალიციის ჯარებს საფრთხეს უმზადებს. აქ თუ რუსის ჯარმა არაჩვეულებრივი სიმხნევე არ გამოიჩინა ჰინდენბურგის ჯარი რუსის არმიებს ტომარაში მოამწყვდევს, ტყვეთ ჩაიგდებს და შემდეგ თავისუფლათ რუსეთის ბესარაბიაში შემოიჭრება. რუსის ჯარი განსაცდელშია და მას თავგანწირული ბრძოლა მართებს.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

საფრანგეთის თითქმის მთელ ფრონტზე გაფთრებული შეტაკებები ხდება. გერმანელებს სასტიკი იერიშები მიაქვთ, მაგრამ ფრანგები იგერიებენ.

იტალია ავსტრიის ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

გამოვსთვათ, ამის შემდეგ შესდგება ერთი დიდი „რევოლიუციონური სტიქია“ ნამდვილათ კი,—კონტრ-რევოლიუციონური ჯარი, სადაც ჩვენი „ბოლშევიკები“ შეგნებული მუშებითურთ უმნიშვნელო ძალას წარმოადგენენ, აი ეს ჯარი როცა „საკითხს“ სწყვეტს, ეს ყოფილა თურმე დისციპლინა და ისიც სოციალისტურ რევოლიუციონური!..

* * *

რ. კალაძეზე უფრო ანჩხლი გამოდგა მეორე ჭეშმარიტი სოციალისტი—ა. ერქომაიშვილი. ის „კავკაზსკი რაბოჩი“-ში რუსულად სწერს:

„ედვა ერთი სიტყვა“—მისი ჩიქორთული რუსული აზრი, რომ გადმოვაქართულოთ, შემდეგს მივიღებთ:

„უკანასკნელ დღეებში მენშევიკების გაზეთები „ერთობა“ და „ბორბა“ „ბოლშევიკების“ წინააღმდეგ ბრძოლის საზიზღარ საშუალებებს მიმართავენ. „ბოლშევიკებს“ ისინი ეძახიან პროვოკატორებს, კონტრ-რევოლიუციონერებს და სხ. და ყველა ეს ხდება უმთავრესად იმიტომ, რომ 25 ივნისის მიტინგზე მასსამ ჩვენ დაგვიჭირა მხარი და ჩვენ მიერ წარდგენილი განჩინება მიიღო. მე ვამტკიცებ, რომ „მენშევიკების“ ასეთი გამოსვლა აიხსნება „მენშევიზმის გახრწნით“.

დღეს მთელი რუსეთის შეგნებული სოციალ-დემოკრატები და დასავლეთ ევროპის ცნობილი მარქსისტები—როგორიც არის კ. კაუცკი ბოლშევიკების მოქმედებას გმობს და მათ ობიექტიური პირობების სრულიად მოფუჩეჩებას უკიჟინებს. ობიექტიური პირობების უარყოფამ კი „ბოლშევიკები“ ანარქისტებისა და კონტრ-რევოლიუციონერების ფერხულში ჩააბა და ისინი ნებსით თუ უნებლიეთ ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციას ამაგრებენ და აძლიერებენ.

კადეტები და რევოლიუცია.

ჩვენ იმ თავითვე ვიცოდით, რომ კადეტთა პარტია რევოლიუციური გზით დიდხანს ვერ ივლიდა; რაც უფრო ღრმავდებოდა რევოლიუცია, რაც უფრო რადიკალურ ნაბიჯებს აკეთებდა ის სახელმწიფოს დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე, მით უფრო ახლოვდებოდა ის მომენტი, როცა კადეტები მას უნდა დაშორებოდნენ. ფაქტიურათ კადეტები ამ რამოდენიმე კვირის წინათ გადაუდგნენ რევოლიუციას. მათი სამინისტროდან გასვლა—ეს მხოლოდ ფორმალური გამოხატულებაა მათი გადადგომის. ფაქტიურათ, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე სამინისტროში, ამ უკანასკნელ კვირეების განმავლობაში კადეტები წარმოადგენდნენ იმ ლოდს, რომელიც ფეხს უბორკავდა რევოლიუციას და ხელს უშლიდა მის აღმავლობას.

ამისდა მიუხედავათ დიდი შეცდომა იქნებოდა რევოლიუციურ დემოკრატიის მხრით, რომ მას კადეტები საკოალიციო სამინისტროში არ დაეშვა, წინასწარ ჩამოეშორებინა რევოლიუციისაგან. კადეტების პარტიაში წარმოდგენილია რუსის ბურჟუაზიის სხვადასხვა წრეები. მილიუკოვის და გუჩკოვის სამინისტროდან გასვლით აღინიშნა მსხვილი იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიერ ზურგის შებრუნება რევოლიუციისათვის. მაგრამ კადეტების პარტია ამ უკანასკნელ დრომდე წარმოადგენდა უფრო საშუალო და ნაწილათ წვრილი ბურჟუაზიას. ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი ნაწილი „ხალხის თავისუფლების“ პარტიის დროშას მისდევდა და ამ პარტიის რევოლიუციის გზიდან წინ-წარ გადაყენებას უნდა გამოეწვია აგრეთვე მისი ამყოლი ქალაქის წვრილ ბურჟუაზიის გათიშვა რევოლიუციისაგან. ამ შეცდარ ტაქტიკას არ დაადგა რუსეთის რევოლიუციური დემოკრატია. მან შეძლება მისცა კადეტების პარტიას თავისი მინისტრების სახით დროებით მთავრობაში გამოეაშკარავებინა მთელი რუსეთის წინ თავისი ნამდვილი პოლიტიკური და სოციალური ბუნება. რუსეთის ფინანსიური და სამრეწველო ბურჟუაზია საბოტაჟის გზას დაადგა. ის ვერ ურიგდება პროლეტარიულ ეკონომიურ პოლიტიკურ მოთხოვნებს ეკონომიურ ცხოვრების ომის პირობებთან შესაფერებლათ.

ლიბერალურ ბურჟუაზიის ვიწრო კლასიური სულისკვეთება გამოხატეს საკოალიციო სამინისტროში კადეტთა მინისტრებმა: კადეტთა ერთი საუკეთესო წარმომადგენელი სამინისტროში, ყოფილი ფინანსთა მინისტრი შინგარევი სრულ უმოქმედობას იჩენს ეკონომიურ არევ დარევასთან ბრძოლაში. კადეტთა მინისტრები აფერხებენ საკოალიციო მთავრობის მოქმედებას ამ სფეროში. ასევე სხვა დარგებშიაც. რევოლიუციის წინსვლის შიშმა იმ ზომამდე აიტანა კადეტები, რომ სახალხო განათლების საქმეშიაც კი მათი წარმომადგენელი უფრთხის ცოტათ თუ ბევრათ ენერგიულ ზომებს სკოლას ძველი რეჟიმის მიერ შექმნილ დახავსებულ პირობებში სტოვებს. კადეტები, რომლებიც მუდამ „შემოქმედებითი“ ნიჭს იჩემებდნენ და „დადებითი მუშაობას“ იკვეხდენ, რევოლიუციის შიშის ზეგავლენით, შეიპყრა შემოქმედების დამბლამ პოლიტიკურ ცხოვრების ყველა სფეროებში.

ამნაირათ რუსეთის ლიბერალურ ბურჟუაზიის „საქმიანობამ“ მთავრობაში ოთხი თვის განმავლობაში მთელ რუსეთს აშკარათ დაანახვა მისი „დემოკრატობის“ ნამდვილი ფასი. ამ პოლიტიკური გაკოტრების ზეგავლენით კადეტების პარტიას ჩამოშორდა ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ესერების დროშას შეეფარა; ეს ცხადჰყო მოსკოვის არჩევნებმა.

კადეტები რევოლიუციას ჩამოეცალნენ, მარა ჩამოეცალნენ შესუსტებულნი, განახევრებულნი ამალით.

ამიერიდან კადეტების პარტია კიდევ უფრო აშკარათ და გულწრფელათ გამოხატავს რუსის ბურჟუაზიის სულის კვეთებას. ის გახდა ნამდვილ „წესრიგის პარტიათ“ და შეეცდება ითამაშოს იგივე როლი, რომელიც საფრანგეთის „წესრიგის პარტიამ“, საფრანგეთის ლიბერალურმა ბურჟუაზიამ ითამაშა 1848 წელს, ე. ი. შეეცდება პროლეტარიატის აღაგმვას, მის სასტიკათ დამარცხებას, კ.—დ.-იული „წესრიგის პარტია“ ოცნებობს თავის გენერალ კავენიაკზე, რომელმაც 48 წლის ივნისში სისხლში ჩაახრჩო პარიზის პროლეტარიატი. ის ოცნებობს თავის „ივნისის გამარჯვებაზე“. მარა, საბედნიეროთ, ჩვენი „წესრიგის პარტია“ სულ სხვა პირობებშია, ვინემ საფრანგეთის „წესრიგის პარტია“ იყო 1848 წელს. უკანასკნელი ეყრდნობოდა პროლეტარიატთან ბრძოლაში თავის კონტრ-რევოლიუციურ, დამფუძნებელ კრებას. კადეტებმა კი თავისი ანტი-დემოკრატიულ საქმიანობით ჩამოიშორეს წვრილი ბურჟუაზიის მასის ის ნაწილიც, რომელიც ხან ეყრდნობოდა და ლიბერალური ბურჟუაზია გარიყული რჩება. რუსეთის ხალხი შესაფერ წონას მისცემს კადეტების პარტიის „დემოკრატიზმს“ დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

რუსის ბურჟუაზიის „წესრიგის პარტიას“ არ ეღირსება 48 წლის კონტრ-რევოლიუციური დამფუძნებელი კრება; მას არ ეღირსება არც კავენიაკი და არც „ივნისი“.

შ—ძე.

პეტროგრადის ამბები

11 ივლისს ნაშუაღამევის 2 საათზე აკაკი ჩხენკელმა პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით შემდეგი დეპეშა მიიღო:

საერთო პოლიტიკაში შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა. კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები მუშაობას აძლიერებენ. ფრონტიდან რამდენიმეთ დამამშვიდებელი ცნობები მოდის: პოზიციებიდან გამოქცეული ჯარები შეჩერებულ იქნენ. საბრძოლო მოქმედებათა ცვლილება არა სჩანს. დემოკრატიის ცენტრალურმა ორგანოებმა შექმნილი მდგომარეობა ასწონ-დასწონეს და დააფასეს. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ღამის სხდომაზე დაადგინეს განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვონ დროებითი რევოლიუციონური მთავრობა. ამის შესახებ გამოტანილი დადგენილება შემდეგია:

„ვსცნობთ რა, როგორც ფრონტის, ისე შიგნით, სახელმწიფოში მდგომარეობას საშიშროთ, რასაც შედეგათ მოჰყვება სამხედრო ძალის განადგურება, რევოლიუციის დასამარება და კონტრ-რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვება,—სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა და სრულიად რუსეთის გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი ცენტრალური კომიტეტები ადგენენ: 1) მთელი რუსეთი და რევოლიუცია საფრთხეშია, 2) დროებითი მთავრობას ვსცნობთ რევოლიუციის მხსნელ მთავრობათ, 3) დროებით მთავრობა აღიჭურვოს განუსაზღვრელი ძალა-უფლებით ჯარის ორგანიზაციის და დისციპლინის აღსადგენათ. დროებითმა მთავრობამ უნდა აწარმოვოს გაბედული ბრძოლა ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციური და ანარქისტული გამოსვლების წინააღმდეგ და ცხოვრებაში უნდა გაატაროს ყველა ის დადებითი ღონისძიებანი, რაიც დეკლარაციაშია აღნიშნული, 4) მთავრობის ყოველგვარი მოქმედებათა შესახებ, კვირაში ორჯერ, სოციალისტი მინისტრები გაერთიანებულ აღმასრულებელ კომიტეტებს მოხსენებებს გაუკეთებენ.

ასე რომ, ფაქტიურათ გამოცხადებულია რევოლიუციონური მთავრობის დიქტატურა. შემდეგში ყველა ფერი დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორის უნარით იქნებიან გადადგმული ეს გაბედული ნაბიჯები.

როგორც ამ წამში მიღებული დეპეშიდან სჩანს, ჩვენი მე-12 არმიის შეტევის საქმე კარგათ მიდის. დღეს პეტროგრადის ჯარების ნაწილების თათბირი შესდგა. თათბირმა დაადგინა ყოველივე დახმარება აღმოუჩინოს მთავრობას რევოლიუციის დასაცავათ. დღეს ქალაქში მთელი დღე ფრონტიდან მოსული ჯარების მიტინგი იყო. ეს ჯარები ფრონტიდან მოვიდნენ, რომ მხარი დაუჭირათ ცენტრალური კომიტეტისა და დროებით მთავრობისათვის. დღეს დროებით მთავრობას შეუწყვეტელი სხდომა აქვს. მთავრობის შედგენის საქმე ჯერ არ დამთავრებულა. ის შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: რევოლიუციონური დიქტატურის მოწყობის საქმე რიგში დგას და ჯერ არ დამთავრებულა. უპირველეს საქმეთაა აღიარებული ანარქისტ ბლანკისტების გამოსვლათა სრულიად მოსპობა და გაბედული ბრძოლა როგორც მარცხნით, ისე მარჯვნით.

ბურცევის მიერ გამოქვეყნებულ სიას არავითარი საბუთი არ ახლავს თან. საზოგადოება გაეცნო ბურცევისა და სხვათა მხოლოდ წერილებს. საბუთები წერილებში თითქმის არავითარი არ არის, განსაკუთრებით საბუთი არ არის მ. გორკის შესახებ.

ლენინის, განეცკის, კოზლოვსკის, კამენევის და ზინოვიევის საქმეს იძიებენ. ლენინი ჯერ არ დაუპატიმრებიათ. ის იმალება, ალბათ იმიტომ, რომ ეშინია ხალხის თვითგასამართლების. ამ შინაარსის განცხადება გაუგზავნა მან ცენტრალურ კომიტეტს.

კოზლოვსკისა და კამენევს გარდა დააპატიმრეს პრაპორშჩიკი სემაშკო, პორუჩიკი დაშკევიჩი და ზოგიერთი ოფიცრები და ჯარისკაცები.

—

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრალური კომიტეტის და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური საბჭოს ბიურომ 8 ივლისს ზოგიერთი ჯარების ნაწილთა დაშლის საკითხი განიხილეს. ბიურომ აუცილებელ საჭიროებათ მიიჩნია ჯარის ზოგიერთი ნაწილების დაშლა, რათა ბოლო მოეღოს იმ არევ დარევას, რაიც ჯარების ნაწილთა აჯანყებით არის გამოწვეული, მაგრამ ამავე დროს ჯარების დაშლა მეტის-მეტი სიფრთხილით უნდა ხდებოდეს და უნდა ხდებოდეს ისეთ შემთხვევებში, როცა არავითარი იმედი არ არის მისი გასწორებისა. ჯარის ამა თუ იმ ნაწილის დაშლას ახდენს სამხედრო მთავრობა საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით. კომისიაში შედიან: ორი წარმომადგენელი გლეხთა საბჭოდან, ორი—პეტროგრადის აღმასრულებელ კომიტეტისაგან, ერთიც—პეტროგრადში ფრონტიდან მოსულ ჯარისაგან. კომისიაში შედის აქსენტიევი. ჯარის დაშლის საკითხის განხილვის დროს ახსნა-განმარტების მისაცემათ გამოწვეული უნდა იქნენ დაინტერესებული მხარეები. თუ როგორის წესით უნდა მოხდეს ჯარის დაშლა, ამას თითონ კომისია სწყვეტს სამხედრო მთავრობასთან შეთანხმებით.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ კომიტეტს რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან აუარებელი დეპეშები მოსდის, სადაც აშკარათ სჩანს, თუ რა აზრისაა პროვინცია სატახტო ქალაქში მომხდარი ამბების შესახებ. ყველ დეპეშაში პროტესტს აცხადებენ ჯარისა და მუშების ერთი ნაწილი საბჭოების წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ და ყოველმხრივ მხარის დაჭერას აღუთქვამენ დროებით მთავრობას და საბჭოებს.

კერენსკიმ მოსთხოვა კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, რათა მათ მეამბოხენი და წამქეზებელნი გასცეთ. საბჭომ განცხადება გამოგზავნა და აღუთქვა გადასცეს საგამომძიებლო მთავრობას საბჭოს და აგრეთვე პარტიულ ორგანიზაციათა წევრების სია.

გაზეთებიდან

პეტროგრადში მომხდარი ამბების გამო სატახტო გაზეთები სწერენ:

„პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა უწყებები“—„რუსეთის დემოკრატიის დიადმა შინაგანმა ძალამ, რევოლიუციისადმი განსაკუთრებულმა ზრუნვამ, ხალხის რევოლიუციონურმა ინსტიქტმა და ამავე დროს დემოკრატიის ხელმძღვანელი ორგანოების გაბედულმა ნაბიჯმა, რომლებსაც არ შეშინებიათ არც ხიშტების, არც ტყვიის მფრქვეველის, არც ზარბაზნების—თავისი საქმე გააკეთა. ნაცვლად რევოლიუციის დაღუპვისა, ჩვენ ახალი გამარჯვების წინ ვდგევართ…

„ნოვაია ჟიზნი“—პეტროგრადის აჯანყების გულწრფელი იდეური მეთაურნი შჩედრინის იმ გმირების პირდაპირი შთამომავალნი არიან, რომლებიც შჩედრინმა „ქალაქ გლუპოვის ისტორიაში“ აწერა და რომელთაც სახელად „გოლოვოტიაპოვები“ უწოდა.

„ედინსტვო“-ში გ. ვ. პლეხანოვი კადეტების ცოდვათ სთვლის იმ მოვლენას, რომ კოალიციური სამინისტროდან ისინი გავიდნენ. ამით მათ ხელი შეუწყვეს ლენინელების ტაქტიკის გამარჯვების შესაძლებლობას სოციალისტური დემოკრატიის უმრავლესობის ტაქტიკაზე.

„დელო ნაროდა“, სოციალისტ-რევოლიუციონერებისა—„ქუჩაში გამოსულ შეიარაღებულ მანიფესტანტებს მთავრობამ ძალა დაუპირდაპირა. ამით მთავრობამ თავისი მოვალეობა შეასრულა იმდენათ, რამდენათაც მოსალოდნელი იყო დემონსტრაციებს დარბევის ხასიათი მიეღო, რითაც რიგში იყო დაყენებული საზოგადოებრივი წეს-რიგის დაცვის საკითხი. რევოლიუცია საფრთხეში იყო და მთავრობასაც უნდა შესაფერი ძალა გამოეჩინა.

„ვოლია ნაროდა“—„დადგა დრო, როცა ყოველი სოციალისტი ვალდებულია „ბოლშევიზმისაგან“ გაიმიჯნოს. თუ ამას სოციალისტები არ მოიმოქმედებენ, ამით ისინი აღიარებენ, რომ „ბოლშევიკებს“ ვემორჩილებითო.

„დენი“—„ბოლშევიკებმა“ დროებითი მთავრობას ძალა შემატეს, თვითონ კი თავი შეირცხვინეს მთელი ქვეყნის წინაშე. ბოლშევიკებმა გაამართლეს ის შეხედულება, რომ მათ წინააღმდეგ უფრო გაბედული მოქმედება საჭიროა. ამის შემდეგ „ბოლშევიკებსა“ და ანარქისტებთან ბრძოლაში მთავრობა გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს, რითაც მისი ძალა და სახელი ხალხში კიდევ უფრო განმტკიცდება.

„რუსკაია ვოლია“—„დადგა დრო როცა მთავრობამ მთელი ძალა უნდა გამოიჩინოს დამნაშავეთა აღმოსაჩენათ და დასასჯელათ. არავითარ რყევას დროებით მთავრობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 10—12 ივლისი).

პეტროგრადი. სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გამოიმუშავეს მოწოდება მთელი რუსეთის მცხოვრებთადმი: „მოქალაქენო! თქვენ მოგმართავს მოწოდებით სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური ორგანოები. საბედისწერო საათმა დაჰკრა! მტერმა რევოლიუციონური რუსეთის ჯარის ფრონტი გაარღვია, ჩვენმა რესპუბლიკანურმა ჯარმა უწესრიგოთ მოჰკურცხლა. ჩვენს სამშობლოს ახალი ოლქების წართმევით ემუქრებიან. ჩვენს სატახტო ქალაქში რევოლიუციონურ მთავრობაზე, რომელიც მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის ნებას გამოხატავს, დაბრმავებულმა, შეშლილებმა შეიარაღებული ძალის დატანება განიზრახეს. გახრწნამ და ანარქიამ ფეხი მოიკიდა რუსეთში. ბნელი ძალები გამოცოცხლდნენ. იმათ იგრძნეს, რომ ასეთ დროს ბევრი რამე შეუძლიათ ხელთ იგდონ, ისინი ცდილობენ დაგაბან კისერზე თქვენ ძველებური უღელი, ისინი ყოველად გაწამებული სამშობლოს დასაღუპავად ემზადებიან. ისინი ძირს უთხრიან რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოებს, დროებით რევოლიუციონურ მთავრობას, შეუგნებელ ხალხს უსისინებენ ებრაელების წინააღმდეგ, ხალხს მოუწოდებენ თვითნება-დაპატიმრებისა, ძალადობისა, თვითგასამართლებისა და დარბევისაკენ. ისინი რევოლიუციის მხსნელად გვევლინებიან, რითაც თქვენს მათდამი ყურადღებას ადუნებენ. თქვენ ისინი წესრიგის დამყარებას აღგითქვამენ, ნამდვილათ კი, სამხედრო დიქტატურის შემოღებაზე ოცნებობენ, რითაც ისინი ძველ წეს-წყობილებას სავსებით აღადგენენ, რომლის წყლულები თქვენს მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია. მოქალაქენო! თუ ეს დაგივიწყნიათ, თქვენ მოგელით ათასჯერ უარესი საშინელება, ვინემ ეს ძველი წყობილების დროს იყო, ხოლო ახლა დაიღვრება ხალხის სისხლის მთელი მდინარეები, ციხე კატორღები კვლავ დამნაშავეებით აივსებიან, სამრეწველო ცხოვრება შეფერხდება, შიმშილი და მოუსავლობა გახდება სოფლის ხვედრი. სახალხო განათლება ჩაიხრჩობა, გაიჭყლიტება თავისუფალი სიტყვა, მოისპობა სინდისის თავისუფლება. ყოველმა ერმა, ყოველმა ოლქმა თავისუფალი თვითმართველობის მიღების იმედს საბოლოოთ უნდა გამოემშვიდობოს. საჭიროა მამაცური ზომების მიღება, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის თავისუფლება, ვისაც არ დავიწყნია თვითმპყრობელობის სამარცხვინო საქმენი, ვისაც არ სურს, რომ მისი ქვეყანა მტერმა დაიპყროს, მან უნდა საქმით დაამტკიცოს ეს,—უნდა ემსახუროს სამშობლოს გარეშე მტერთაგან თავდაცვის მოსაგვარებლათ. აღმასრულებელმა ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროთ სცნო საგანგებო უფლებით აღჭურვოს დროებითი მთავრობა. დიახ, მთავრობამ სისასტიკე გამოიჩინოს ყოველგვარი ანარქიული გამოსვლების ჩასაქრობათ, რომელიც რევოლიუციონურ მოპოვებათა წასართმევათ იქნება მიმართული, დიახ სასტიკი ზომებით დაამყარონ ჯარში დისციპლინა, დიახ, გაატაროს ცხოვრებაში ყველა ის ღონისძიებანი, რაიც რევოლიუციისათვის სასარგებლოთ იქნებიან ცნობილნი და რაიც მთავრობამ დეკლარაციით გვაუწყა. თითოეულმა ჩვენგანმა მთავრობას ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოთ. ამ საბედისწერო ხანაში უარის მთქმელი და საქმისადმი გულ-გრილათ მაცქერალნი არ უნდა არსებობდნენ. ფრონტის ჯარებს შევსება ესაჭიროება, ზურგს მუშა ხელი უნდა. სახელმწიფოს დიდძალი ფული სჭირდება. ვინც თავის ვალის მოხდას გაურბის, ვინც რევოლიუციურ მსვლელობის სიძნელით სარგებლობს და ცდილობს თვითმპყრობელობის აღდგენას—ის რევოლიუციის მოღალატეა და სამშობლოს გამყიდველი. მოგიწოდებთ თქვენ აღასრულოთ თქვენი ვალი! შემოკრბით თქვენ მიერ არჩეული ქალაქის საბჭოების, ერობების და რევოლიუციონური დემოკრატიის ორგანოების გარშემო. მხარი დაუჭირეთ დროებითი მთავრობას. მიეცით მას მთელი თქვენი ძალა და საშუალებანი. რევოლიუცია და სამშობლო საფრთხეში იმყოფებიან. დიახ, თითოეულმა თქვენგანმა სთქვას: მე ღირსი ვარ მოქალაქის სახელი ვატარო. მოქალაქენო! ამ საბედისწერო ხანაში თქვენ მოგიწოდებთ, რომ რევოლიუციის დარაჯათ იყოთ.

მიმართვა გლეხებისადმი.

პეტროგრადი. სრულიად რუსეთის საბჭოების დეპუტატების კომიტეტის და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე მიიღეს შემდეგი მიმართვა გლეხებისადმი: „ძმებო გლეხებო! რუსეთის რევოლიუცია და თავისუფლება დიდ განსაცდელშია. აჯანყებული ბრბო შეიარაღებულ სალდათებისა, შავრაზმელები და მოღალატენი რამოდენიმე დღის განმავლობაში ერეოდნენ კაცებს, ქალებს და ბავშვებს. ამათ შეურაცხყოფა მიაყენეს სოციალისტ მინისტრებს, შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს სალდათების, მუშების და გლეხების დეპუტატების კრებაზე, იარაღის მოხვეჭით უნდოდათ თავზე მოეხვიათ თქვენი არჩეულებისათვის თავიანთი სურვილი. საბედნიეროთ სალდათების და მუშების უმრავლესობა შემოიკრიბა სალდათთა მუშათა და გლეხთა საბჭოების ირგვლივ—დარჩა ერთგული დრ. მთავრობის. მაგრამ პეტროგრადის ქუჩებზე ისიც იყო შეწყდა სროლა, რომ თავისუფლების საქმისათვის გამოჩნდა ახალი ძლიერი საფრთხე: გერმანიის ლაშქარმა გაარღვია ჩვენი ფრონტი და მოიწევიან შუაგულისაკენ. მტრის შემოსევა განუსაზღვრელ უბედურობას გვიქადის, გვემუქრებიან წაგვართვან არა მარტო თავისუფლება, არამედ მიწაც. ის ფიქრობს მთელი რუსეთის ხალხი თავის მოხარკეთ გაიხადოს. ძმებო, გლეხებო! ამ საშინელ უბედურობის დროს, ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა ხელი აიღო თავდაცვაზე და ჩვენი თავისუფლების დაცვა უარჰყო. ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა სამარცხვინოთ დაიხია მცირე-რიცხოვან მტრის წინაშე. რუსის სალდათები უბრძოლველათ აძლევდნენ მტერს იარაღს და იხევდნენ პოზიციებიდან. მათ არ მოისურვეს შეხვედროდნენ მტერს. ისინი ფიქრობდნენ მხოლოდ თავის თავზე, დაავიწყდათ რომ სამშობლომ მათ დიდი მოვალეობა დააკისრა—რუსეთის თავისუფლების დაცვა. რუსეთის ხალხის გული აღშფოთდება, როდეს გაიგებს ჩვენი ჯარის ერთი ნაწილის ამ გვარ უკან დახევას ამბავს. გულის წყრომით და ზიზღით შეხვდება მთელი რუსეთი იმათ, ვინც არ შეასრულა თავისი მოვალეობა და სამარცხვინოთ მიუგდო ფეხებ ქვეშ მტრებს სამშობლოს თავდაცვის საქმე—მაგრამ… (დამახინჯებულია).

ეხლა დროებითი მთავრობას განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭეს. მთელი თავის სიძლიერით რისხვით თავს დაეცემა ის, ვინც არეულობას იწვევს, ვინც ურჩევს ჯარს არ დაემორჩილონ უფროსებს, ვინც რუსეთის საქმეს არღვევს. დაემორჩილეთ მთავრობის განკარგულებას, გლეხებო, დრ. მთავრობას ყველა უფლებები მიანიჭეს და ვინც არ დაემორჩილება ამ მათ მთავრობის განკარგულებას ის სამშობლოს მოღალატეთ ჩაითვლება. დრ. მთავრობა თავის უფლებით ეხლავე შეუდგება ჩვენი ცხოვრების ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნას ახალ საფუძველზე. მან უკვე გადაჭრით გადასწყვიტა მშრომელ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება და ყოველგვარ ზომებით მიიყვანს რუსეთის ხალხი დამფუძნებელ კრებამდე, რომელიც გადასცემს მთელ მიწას მშრომელ ხალხს. ძმებო, გლეხებო! თავისუფალ ცხოვრების ახალი სხივი აენთო რუსეთშია, შინაური და გარეშე მტრები ცდილობენ კვლავ მოაბრუნონ რუსეთის ცხოვრება სიბნელისაკენ. პეტროგრადში მომხდარ ამბებით და და ჩვენი ფრონტის გარღვევით თავისუფლების მტრები ისარგებლებენ და საბრძოლველად გამოიყენებენ. ყველა ისინი, ვისაც გულში ძველი წეს-წყობილების დაბრუნება უნდათ—ვაჭრები, მემამულეები, მსხვილი მესაკუთრენი,—გეტყვიან თქვენ, რომ თავისუფლება უბედურებაა ქვეყნისათვის. ისინი მოგიწოდებენ თქვენ არ დაემორჩილოთ მთავრობას, დაარბიოთ ებრაელები, წაუსისინებენ სალდათებს მუშებზე და სხვ. არ დაუჯეროთ ამ ხალხს. მათ ძველი წესების დაბრუნება უნდათ. დაიცავით თავისუფლება, რუსეთის რევოლიუცია. დე ყველამ დაივიწყოს ამჟამად თავისთავი და ცეცხლის სიტყვებით აენთოს ყველას გულში ერთი აზრი: ჩვენი სამშობლო, რომელსაც მოელის განსაცდელი. მხარი დაუჭირეთ ფრონტზე მყოფ თქვენს შვილებს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველ დღე, ყოველ წუთს ჩვენს ჯარს ესაჭიროება პური. გაგზავნეთ იქით პური. როდესაც თქვენს შვილებს გზავნით ფრონტზე მოაგონეთ მათ მათი მოვალეობა, სთხოვეთ მათ, ნუ მისცემენ მტერს დედა-სამშობლოს. მისწერეთ მათ ფრონტზე, რომ თუ სამშობლო არ იქნება დაცული მტრისაგან—მაშინ გლეხობა ვერ მიიღებს მიწას და თავისუფლებას. გადაეცით მათ, რომ თუ ისინი დაიხევენ მცირე-რიცხოვან მტრის წინაშე—სამუდამოთ შერცხვენილნი იქნებიან.

მომავალი გამოუცნობელია. შესაძლებელია ჩვენ ყველას დიდი ტანჯვა წვალებაც მოგვიელის, შესაძლებელია კიდევ ბევრი სისხლი დაიღვაროს რუსეთის თავისუფლების გასამარჯვებლათ, მაგრამ უნდა დავრჩეთ, გაბედულნი, ვაჟკაცები. ყოველ წუთს გვემახსოვრება, რომ ჩვენი ტანჯვით იქმნება ახალი დიდებული თავისუფალი რუსეთი“.

ეკატერინბურგი. მიწის დასამუშავებელი იარაღების შესაკეთებლათ რკინა აღარ იშოვება. აპირებენ ნაეხი რკინების შეგროვებას.

პარიზი. მადრიდიდან იტყობინებიან ვალენსიაში საალყო წესები გამოაცხადეს.

ათინა. ათონის მთიდან რუსისა და საფრანგეთის ჯარის ევაკუაციის შესახები ცნობა მტკიცდება.

ლონდონი. ბრიტანიის წრეების ახლობელი პირის ცნობით, რასაც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რუსეთის მთავრობაში მომხდარი ცვლილება მათ არ აკვირვებს. თავადი ლვოვის სამინისტროდან გასვლა მათთვის თუმცა მოულოდნელი ამბავი იყო, მაგრამ ეს მათი აზრით ადვილი ასახსნელია, ვინაიდან ზოგიერთი მინისტრების წასვლის შემდეგ მისი მდგომარეობა სამინისტროში არც იმდენათ სასურველი იყო. კერენსკის მინისტრთა თავმჯდომარეთ დანიშვნით კმაყოფილნი არიან.

ომის დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 10 ივლისი. დვინის სამხრეთ-დასავლეთით ორსავე მხრივ საარტილერიო სროლაა. ვილენის მიმართულებით, დაბა კრევოს რაიონში მტრის პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და მტრის სანგრების ერთი წყება დავიკავეთ. ამ ბრძოლის დროს ტყვეთ წამოვიყვანეთ 1000 მეტი გერმანელი. დასახელებულ რაიონში ჩვენი ჯარის წინსვლას ხელი შეუშალა ზოგიერთი პოლკების უდისციპლინობამ და მორალურმა სისუსტემ, სამაგიეროთ აფიცრები და ჯარების ხელმძღვანელი თავგანწირულათ იბრძვიან.

მდ. სერეტის ზემო ადგილებში—ზოლოჩევიდან მოყოლებული ტარნოპოლამდის დრო გამოშვებითი სროლაა. სერეტსა, სტრიპასა და ზოლოტაია ლიპას შორის მდებარე მიდამოებში მტერი განაგრძობს იერიშების მოტანას და ამ იერიშების მოტანის დროს მან დაიკავა სოფ. ნასტასუკი, ვენიავა და მდ. სტრიპაზე სოფ. ლუკოვი და ბლაჟენტი. აქ სასიკვდილოთ დაიჭრა პოდპოლკოვნიკი დელდი.

რუმინიის ფრონტზე, კეზდი-ვაზარჰელის, ფოკშანის და ბარაილოვის მიმართულებით საარტილერიო ბრძოლაა.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი 9 ივლისი. იურტებიზისა და კრაონის რაიონში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. კაზემატას მთაგორიან ადგილებში ჩვენმა ჯარმა მტრის რამდენიმე იერიშები მოიგერია. კალ ფონის მოლლობებთან გერმანელებმა ჩვენი სანგრების პირველი წყება დაიკავეს. დანარჩენ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება.

ლონდონი 9 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, სენ-კანტენის ჩრდილო დასავლეთით და ლანსის სამხრეთით მოწინავე რაზმები იბრძვიან. მონში ლი პრეს აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ოდნავ წინ წაიწია.

რომი. 9 ივლისი. ჟუმელგასა და ვალპრის რაიონებში მტრის ჯარი კვლავ უკუვაქციეთ.

ახალი ამბები

სამადლობელი დეპეშა ამხ. აკაკი ჩხენკელს. ამხ. აკ. ჩხენკელმა მახმუდ ადოლაროვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „უსაზღვრო მადლობას გწირავთ თქვენ, ჩვენს საამაყო დეპუტატს, იმ შრომისათვის, რომელიც გასწიეთ ყველა დაჩაგრულისა და შევიწროებულის სასარგებლოთ. შთამომავლობიდან, შთამომავლობას გადაეცემა თქვენი სახელი, როგორც ხალხის ინტერესების ერთგულ დარაჯისა“ როგორც ვიცით, მახმუდ ადოლაროვს სხვა აჭარლებსა და ლაზებთან ერთად აკაკი ჩხენკელის შუამდგომლობით ეპატივა სასჯელი.

◆ **გაფიცვის დასრულება.** დანდუროვის ქურქლეულობის მაღაზიის ნოქართა გაფიცვა დასრულდა. მოთხოვნილებები სავსებით დააკმაყოფილეს.

◆ **გრძელდება გაფიცვა.** პოპოვის, აზელოვის, ბოსტანჯოვის და კორბაზის ნოქრებისა.

◆ **დახმარება მუშათა ხაზინას.** მუშათა დეპუტატების საბჭომ 9 ივლისის სხდომაზე დაადგინა, წერილობით მიმართოს ბანკებს, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვილ სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებს და სთხოვოს, აღმოუჩინონ მას ფინანსიური დახმარება, სანამ ასეთ დახმარების საკითხს გაარჩევდეს მთავრობა.

◆ **გორის საქალაქო არჩევნები:** 7 ივლისის სხდომაზე რ. ს.-დ. მ. პ. გორის კოლექტივმა დაადგინა საქალაქო არჩევნებში გამოვიდეს დამოუკიდებლათ. ქალაქი დაიყო უბნებათ, შედგა ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს რაიონულ კომისიებს. თითოეული კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც პასუხისმგებელია კომისიის მოქმედებაში. კოლექტივის მორიგი სხდომა მოხდება 13 ივლისს.

◆ **ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.** გუშინ დაიწყო ამიერ კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის სხდომები კავკასიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხის გამოსარკვევათ.

◆ **შეწირულება.** თავრიზის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეებმა 9556 მ. 50 კ. შესწირეს 18 და 19 ივნისს ბრძოლაში გასულ პოლკის დაზარალებულ ჯარისკაცთა სასარგებლოთ.

◆ **ქურდობა.** 30 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ვიღაც ნაძირალებმა გაქურდეს სად. ნავთლუღის 1 კლასის საპარიკმახერო. წაიღეს ლოგინი და მთელი საპარიკმახერო იარაღები,

◆ **უბედური შემთხვევა.** რკინის გზის ლიანდაგის დარაჯი ივანე კარიჭაშვილი თევზაობის დროს გადავარდა მტკვარში და დაიხრჩო. დამღრჩვალის გვამი იპოვნეს 7 ივლისს.

◆ **სოფ. გოგოლესუბანი.** (გურია). ადგილობრივ ს.-დემ. ორგანიზაციამ დაატყვევა ირაკლი სიმონის ძე სიხარულიძე, რომელსაც ბრალდება ნავთებიანი კალათის ქურდულათ გამოტაცება თფილისის სადგურიდან, სადაც ის მებარგეთ მუშაობდა. კალათის პატრონს შეუძლია გვაცნობოს, თუ რა ელაგა კალათში შემდეგი მისამართით: დ. სობატაური ილია სამსონის ძე მერძნიშვილი და თავის მისამართიც გაგვაგებინოს, რის შემდეგ კალათს მიიღებს.

◆ **ვიპოვნე.** 4 ივანობისთვეს ბათუმის ახლათ გალებულ სახალხო სახლთან ქალის „რედიკული“. შიგ აღმოჩნდა 57 მ. და 36 კ. გატეხილი ბრასლეტი და სხ. ბარათები და სჩანს, რომ იგი ყოფილა ქ. მარო ს. დოლიძისა. ჩემი მისამართი ბათუმი ლორის მელიქოვის ქუჩა № 14 პეტრეს გიგევა.

◆ **სამგლოვიარო წერილი** ჩვენ, ბათუმის სამხედრო ჰოსპიტალში მყოფნი (ფერშლის მოწაფენი) ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ რ. ს. დ. მ. პ. წევრის ილიკო კირილეს ძე პატარავას უდროოთ გარდაცვალების გამო. ს. ბურჭულაძე, კ. დოლიძე, დ. ქანთარია, ტ. ინწკირველი, ი. თავართქილაძე, ს. თოდუა, ქ. იმნაშვილი.

◆ ღრმათ დამამწუხრა ამხანაგ ილიკო სიმონის ძე კვაჭაძის ბრძოლის ველზე სიკვდილმა. ივანე ვასაძე.

კრებები და მიტინგები.

მე-4 სამილიციო საარჩევნო ნაწილი რ. ს.-დ. მ. პ. იწვევს ამხანაგებს და თანამგრძნობ მოქალაქეებს სახელოსნო სასწავლებლის შენობაში (ეკზარხის მოედანი). წაიკითხავენ სოციალ დემოკრატიულ პროგრამას.

— დღეს, საღ. 7 ს. თფ. დაწესებულებებში მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობის სხდომაზე ამხ. ი. ხელაძე წაიკითხავს მოხსენებას: „შრომები სრულიად რუსეთის პროფ. კავშირების მესამე კონფერენციისა“.

— დღეს საღამოს 7 საათზე მე 3 ქალთა გიმნაზიის შენობაში (ბებუთოვის ქ.,) დანიშნულია საერთო კრება ბინის კომიტეტის ყველა წევრთა და მათ კანდიდატებისა. დღის წესრიგი: 1) ბინის საბჭოს რეორგანიზაცია; 2) სავალდებულო დადგენილების შემუშავება.

პროვინციის ქრონიკა.

სოფ. ალი (გორის მაზრა). კვირას 2 ივნისს შესდგა მთელი ალის საზოგადოების საზოგადო ყრილობა ალში კოოპერატივის „სხივის“ დასაარსებლათ. კრებას დაესწრო ამხ. ნიკო სახარულიძე, რომელმაც აუხსნა ხალხს კოოპერატივის მნიშვნელობა, გააცნო რა წესით უნდა გახსნას ამხანაგობა და მოუწოდა გამგეობასა და სარევიზიო კომისიის არჩევნებისაკენ. ხალხი აღტაცებით შეხვდა ამ ფრიად სასარგებლო საქმეს და ერთ ხმით დაადგინეს კოოპერატივის საჩქაროთ გახსნა. ჩაეწერა მრავალი წევრი. გამგეობაში აირჩიეს: ალ. ნოზაძე, მღ. გ. კეველიშვილი და ნიკო პაპუაშვილი.

სოფ. ოსიაური. (ქართლი). ოსიაურის საზოგადოების მრევლმა გადააყენა სამსახურიდან ამ მრევლის მღვდელი გრიგოლ სებისკვერაძე, სხვადასხვა პროვოკაციულ მოქმედებისათვის. გამოძიებას აწარმოებს ხაშურის რაიონის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოების მონდობილობით საგანგებო კომისია. დაწვრილებით ცნობას ამ ფრიად საინტერესო საქმის შესახებ ამ დღეებში ვაცნობებ რედაქციას. მღ. სებისკვერაძეს ჩამოართვეს ჩვენება. მას უმტკიცდება ხალხის დარბევა და ცემა. მთელი საზოგადოება აღელვებულია მღვდლის მოქმედებით.

სოფ. ოსიაური. (ქართლი). 1916 წ. სექტემბრიდან წასულა ოსიაურიდან ამ სოფლის მცხოვრები კოტე პავლეს ძე პანკოტაძე და მიუხედავათ ბევრნაირი ცდისა და ძებნისა მის კვალს დღევანდლამდე ვერ მიაგნეს. დამწუხრებული მშობლები სთხოვენ ყველას, ვინც კი იცის მისი ასავალ-დასავალი, შეატყობინოს ხაშურის აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებით.

— ოსიაურის აღმ. კომიტეტმა ჩამოართვა ამ სოფლის მემამულეს თავ. ვეზირიშვილს ტყე რადგან მემამულე ვერ უვლიდა რიგიანათ და [illegible] მცველები.

სოფ. ნაბახტევი. (გორის მაზრა). სოფელ ნაბახტევის მცხოვრებმა—აზნაურმა ავალ ავალიანმა შეიტანა წერილობითი საჩივარი აღ. კომიტეტში და გორის სამაზრო კომისარიატში, რომ ვითომც მის სახლში არ ყოფნის დროს, შესულან ალის საზოგადოების მილიციონერები—ალის კომისარის გაბო გონგლაძის ბრძანებით, გაუღიათ დაკეტილი კარები, გაუჩხრეკიათ სახლი, წაუღიათ ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, თოფი და 160 მანეთი და წასულან. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ავალიანს ჰქონებია კერძო ინტერესი გონგლაძისა, რადგან კომიტეტს ავალიანისათვის 7 დღით დაპატიმრება გადაუწყვეტია—როგორც არაკეთილსიმდო კაცისათვის და ეს, რომ აღ. კომიტეტს სახელი გაუტეხოს, ამ უმსგავსო ხრიკებისთვის მიუმართავს.

სოფ. მონასტერი. (გორის მაზრა). 29 ივნისს, ხუთამდე შეიარაღებული კაცი მიჭრია ეტლით ამ სოფლის მცხოვრებს ქვრივს მარიამ გელაშვილისას, გამოუტაცნიათ მისი გასათხოვარი ქალი კატო. გაუსვრიათ თოფები და წასულან. აღმასრულებელმა კომიტეტმა ენერგიული ზომები მიიღო ამ საქმის შესახებ და მესამე დღეს ქალი აღმოაჩინა სოფელ გომნაში, იასონ ყურმიშვილის ოჯახში.

სოფ. დამბხარეველი (ქვიშხეთის საზოგადოება) 5 ივლისს, სოფელ დამბხრეველის მცხოვრებთ გიგო კურტანიძეს და პავლე გოგოლაძეს, მამულის დავის ნიადაგზე, ჩხუბი მოჰვლიათ. ხსენებულ პირებს წამოშველებიან ყანაში მომუშავე შვილები და ნათესავები, მიცვენიან ერთმანეთს და ნამდვილი ომი გაჩაღებულა. ამ ომში დაჭრილია და დაშავებული 5 კაცი. ნაცემიც ბევრია. ხაშურის რაიონულმა აღმ. კომიტეტმა ყველა მოჩხუბრები დააპატიმრა.

დ. ხაშური. ხაშურის რაიონული აღმასრულებელ კომიტეტს ორი თვეა სრულდება რაც არ მოუხდენია მორიგი კრება, საქმეები კი ბევრია გადასაჭრელი, ახალი არჩევნების მოხდენაც საჭიროა, მაგრამ, კომიტეტის წევრების (ზოგიერთი ამხანაგების გამოკლებით), ალბათ არ აწუხებს ამომრჩევლების ინტერესები და კომიტეტში მხოლოდ სახელისათვის თუ [illegible].

— ხაშურის კოოპერატივმა „ცხოვრებამ“ შეიძინა ვაჭარ გიგუცა გრძელოვის მემკვიდრეებიდან 6000 მანეთის საბაკალეინო საქონელი.

დ. სურამი. ხაშურის რაიონის მუშების, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტ. საბჭოების მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ, რომელშიაც შედიოდა 6 კაცი, 6 ივლისს რევიზია გაუკეთა სურამის სამხედრო ლაზარეთს. ლაზარეთში ბევრი უწესობა აღმოაჩინეს, ბევრი არა სასიამოვნო მოვლენასაც (მაგალითად მექრთამეობას), ქონებია ლაზარეთში ადგილი, უსუფთაობას და საჭმლის უვარგისობას ხომ პირველი ადგილი ჰქონებია იქ. კომისიამ ყოველივე ეს შეამოწმა თვით ლაზარეთის გამგის-ექიმ მილევსკის თანდასწრებით და შესაფერი ოქმიც დაადგინა.

* * *

რადგან გაისმის ჟიმედო ხმები ზოგადი,
თითქოს საეჭვოთ გვიჩნდეს ნამყო, აწმყო—მყობადი?
ვით შეეპაროს ბრწყინვალე აზრს ჭმუნვა იარა?
მძლე ქარიშხალმა, ნანატრ წვიმამ ხომ გაიარა.—
და, ეგრე რწმენით რომ ელოდა ხანგრძლივ მგოსანი,
დღეს ხომ წარმტაცათ ცად ლაღლადებს გვირგვინოსანი!..
და ის დახვრიტეს განდგომილთა, ჩანქა მიწამო,..
ბნელი ამბავი, საარაკო როგორ ვიწამო?

ნ ივლ. 1917 წლ.
შხეფი.

იასამანი.

კიდევ პეტროგრადის ამბების გამო.

8 ივლისს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში ამხ. დ. პოპოვმა გააკეთა მოხსენება პეტროგრადში მომხდარ ამბებზე, მომხსენებლის აზრით კადეტ-მინისტრების დროებით მთავრობიდან გამოსვლა მეორე ღალატია, რომელიც ბურჟუაზიამ ჩაიდინა რევოლიუციონური დემოკრატიის წინაშე. პირველი ღალატი ეს პ. მილიუკოვის ცნობილი ნოტა იყო, რომელიც არ ეთანხმებოდა ხალხის სურვილებს. მაგრამ ბურჟუაზიის დღევანდელი მორიგი გამოსვლა მოხდა მეტათ რთულ პირობებში, კრიტიკულ მომენტში, მაშინ, როცა ჯარი ასე ძლიერ საჭიროებს შინაურ სიმშვიდეს. და ეს მოიმოქმედა ბურჟუაზიამ არა იმიტომ, რომ უკრაინის მოთხოვნილებები დააკმაყოფილეს. მიზეზი სულ სხვაა. ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ მას არ შეუძლია აშკარათ ებრძოლოს ხალხის ნება-სურვილებს. რევოლიუციონური ხალხის სურვილები კი ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის მიზნებს, ხალხმა დააწესა შემოსავალზე პროგრესიული გადასახადი და აკრძალა მიწის ყიდვა-გაყიდვა დამფუძნებელ კრებამდე. აი სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა ბურჟუაზია გამოეწვია თავისი წარმომადგენლები დროებით მთავრობიდან. ამით უნდათ განხეთქილება და არევ-დარევა შეიტანონ რევოლიუციონურ დემოკრატიის რაზმებში, დაასუსტონ ხალხის ნებისყოფა. ამნაირათ,—განაგრძობს მომხსენებელი, — თუ 1905 წ. კონ.-დემ. პარტია გ. პლეხანოვის თქმით ხალხის ნახევრათ თავისუფლების პარტია იყო, დღეს იგი ხალხის თავისუფლების მოღალატე პარტიათ იქცა. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. ჩვენ, როგორც მარქსისტები, ყოველთვის და ყოველგან ვამბობდით, რომ ბურჟუაზია მხოლოდ დროებითი თანამგზავრია პროლეტარიატისა. დადგება დრო, როცა იგი ჩამოშორდება რევოლიუციას, და ეს მოხდება მაშინ, როცა ბურჟუაზია მიაღწევს თავის მიზნებს და პროლეტარიატის შემდეგი მოთხოვნილებები მის წინააღმდეგაც იქნება მიმართული. ამას ჩვენ ვამბობთ რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე. დღეს უკვე დადგა მომენტი ბურჟუაზიის რევოლიუციონურ გზიდან გადახვევისა. ჩვენ ამას მოველოდით ისე, როგორც მოველით სხვა მოკავშირეების ჩამოშორებასაც. მაგრამ სანამ შესაძლებელი იქნება გვინდა მათი ძალის გამოყენება. ამ აზრს ვადგევართ დღესაც და ხელის ერთი მოსმით ვერ გავაცალკევებთ ბურჟუაზიას, რომ ავაშოროთ მას სახელმწიფოს განადგურებაში მძიმე პასუხისმგებლობა.

ბურჟუაზია იწყებს ღალატს, იგი მარჯვნით იხრება, თუმცა ჯერ კიდევ არ იყო ამის დრო. მით უფრო გვმართებს დემოკრატიას შეკავშირება და ერთსულოვანათ მოქმედება. საჭიროა ისეთი ლოზუნგების წამოყენება, რომლებიც მეტ მომხრეებს შეგვძენს. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ სამეურნეო ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგებას. თუ დემოკრატია ძლიერი, შეკავშირებული იქნება, მთავრობა როგორი შემადგენლობისაც არ უნდა იყოს იგი, არ არის საშიში. ამას არ უწევენ ანგარიშს მეუმრავლესეები, ისინი მოითხოვენ დღესვე მთელი ძალა-უფლების დემოკრატიის ხელში გადასვლას. მაგრამ ავიწყდებათ, რომ ჩვენ კიდევ ვერ ვართ საკმაოთ ორგანიზაციულათ შეკავშირებული, ვერ წარმოვადგენთ ჯერ კიდევ ისეთ ძლიერ ძალას, რომ შეგვეძლოს ვიკისროთ მთელი მართვა-გამგეობა. ჩვენ დღესაც მეტი გვაქვს უფლებები, ვინემ ეს ჩვენ ძალას, ჩვენს შეკავშირებას შეეფერება,—სთქვა მომხსენებელმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობა მიიღეს სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ. დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის წევრებმა ამხ. ევგ. გეგეჭკორმა და ალ. ლომთათიძემ. ორატორთა უმრავლესობა იზიარებდა მოხსენების ძირითად დებულებებს და მოუწოდებდენ ამხანაგებს ხმა მიეცათ მომხსენებელის მიერ წამოყენებულ რეზოლიუციისათვის. ამხ. მეუმრავლესენი მოუწოდებდენ დამსწრეთ აღიარონ მართვა-გამგეობის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს ხელში სავსებით გადასვლის საჭიროება და ამ მიზნის განხორციელებისაკენ მიმართულათ აღიარეს მათ პეტროგრადში 3—4 ივლისის პროლეტარიატის და ჯარისნაწილის გამოსვლა.

ამხ. ალ. ლომთათიძე ამბობს, რომ მისი შეხედულება, ეს ცენტრალური კომიტეტის შეხედულებაა... 18 ივნისის მანიფესტაციებზე ბატონობდენ შემდეგი ლოზუნგები: „პური, თავისუფლება, ზავი“, „ძირს 10 მინისტრი კაპიტალისტი“ და სხ. თქმა არ უნდა, ეს ლოზუნგები თავისთავათ კარგია, მაგრამ უდროო დროს არიან წამოყენებული. მათ ნიადაგი არა აქვთ ჩვენს სინამდვილეში, მათ არ იზიარებს დემოკრატია, არ დაუჭირა მათ მხარი არც სრულიად რუსეთის მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ყრილობამ. დღეს არ უნდა წამოვაყენოთ ისეთი ლოზუნგები, რომლებიც დაღუ[illegible] მიგვიყვანენ. ჩვენი იდეური მოწინააღმდეგეების მიერ გაღებულ კარებში, როგორც აღნიშნა ერთმა ორატორმა ყრილობაზე, შემოდის კონტრ-რევოლიუცია და რომ პეტროგრადში დროზე არ მიეღოთ ზომები, შეიძლება დღეს აქ ვერც შეგვეყარა თავი...

მეუმრავლესეთ შეუძლიათ საკუთარი შეხედულება ჰქონდეთ მომენტზე, თავისი იდეები ავრცელონ სიტყვით, მაგრამ საქმით, მოქმედებით ჩვენთან, უმრავლესობასთან უნდა იყვნენ აუცილებლათ. ამას მოითხოვს რევოლიუციონური მოვალეობა და დისციპლინა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ცენტრალურ კომიტეტს არ შეეძლო ჯარის ნაწილის მოთხოვნის თანახმათ მართვა-გამგეობის ხელში აღება, ვინაიდან იგი ასრულებს ყრილობის ნებას. ყრილობამ კი გარკვეული შეხედულება გამოსთქვა ამ საკითხზე და შემდეგ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რომ კომიტეტს დაერღვია ყრილობის დადგენილებაო—სთქვა ორატორმა.

ამხ. ე. გეგეჭკორი ამტკიცებს, რომ მეუმრავლესენი ყველგან და ყოველთვის არ ამბობენ ერთ და იმავეს და ამით სიმართლეს ღალატობენ. ასე მაგალითად, ისინი მოითხოვენ მთელი მართვა გამგეობის მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლას. პრესაში კი ცდილობენ როგორმე სახელი გაუტეხონ საბჭოს. სრულიად რუსეთის მ. და ჯ. დეპუტ. საბჭოთა ყრილობას მათ ორგანო „Правда“-მ წვრილ ბურჟუაზიული უწოდა... ისინი მოითხოვენ იმპერიალისტური ომის შეჩერებას და მის მაგივრათ სამოქალაქო ომის დაწყებას მაგრამ ამას უმალავენ მასას, ვინაიდან სისხლისაგან დაცლილი, სამი წლის ომიანობით დაქანცული მასა მაშინ სრულებით არ გაჰყვებოდა მათ. მათ უნდათ დღესვე განახორციელონ სოციალიზმი, ეს კი ილიუზიაა, მასის მოტყუილება და მისი აზრით აგდება... ჩვენ შორს ვართ იმ აზრიდან, რომ პეტროგ. მართლაც რევოლიუციონურ პროლეტარიატსა და ჯარს დავსდოთ ბრალი ძმათა შორის სისხლის ღვრაში. მაგრამ ხელმძღვანელების პრიმიტიულ ლოზუნგებმა, მათ მოქმედებამ არ მიიყვანა ისინი ამ ნაბიჯამდე?.. თქვენ თვითონ განსაჯეთ, ამხანაგებო—მიმართავს ორატორი დამსწრეთ—თუ ვისი ხელია გასვრილი პეტროგრადის ქუჩებზე დაღვრილ სისხლში, ვინ აგებს პასუხს მის დაღვრაში!..

კამათის დასრულების შემდეგ ხმის დიდი უმეტესობით (სამმა თავი შეიკავა, მეუმრავლესეებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა) მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „განიხილა რა შექმნილი მდგომარეობა [illegible] მთავრობიდან კადეტ მინისტრების გასვლა, თფილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭო აღიარებს: 1) კადეტ—მინისტრების გასვლა კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯია; 2) შექმნილი მდგომარეობა კადეტ-მინისტრების გასვლით არ გვაძლევს საბუთს მოვაკლოთ ჩვენი ნდობა და ენერგიული დახმარება დროებით მთავრობას დღევანდელ შემადგენლობით; 3) შეიარაღებული გამოსვლა, რომელსაც პეტროგრადში ჰქონდა ადგილი 3—4 ივლისს რევოლიუციონურ დემოკრატიის უფლებით აღჭურვილ ორგანოების დაუკითხავათ, ავნებს რევოლიუციის საქმეს და არ არის დასაშვები, ვისი მხრითაც არ უნდა იყოს იგი მოწყობილი.

საბჭო ესალმება მ. და ჯ. დეპ. საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის გმირობას, რომ მან პროტესტი განაცხადა მის თავისუფალ ნებაზე შეიარაღებულ ძალდატანების წინააღმდეგ მართვა-გამგეობის საკითხში, რომლის გადასაჭრელათ საბჭოს საჭიროთ მიაჩნია წარმომადგენლების გაგზავნა პეტროგრადში, რომ სრული შემადგენლობით ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანოს თავისი უფლება მოსილი გადაწყვეტილება, რომელიც სავალდებულო იქნება მთელი რევოლიუციონური დემოკრატიისათვის და მოუწოდებს ყველა რევოლიუციონურ ძალებს ამ არეულ დროში კიდევ უფრო მჭიდროს შემოკრბენ თავის ხელმძღვანელ ორგანოთა ირგვლივ, რომელთა დაუკითხავათ და ნებადაურთველათ არ არის დასაშვები არავითარი გამოსვლა, მშვიდობიანი თუ შეიარაღებული, ვისი მხრითაც არ უნდა იყოს იგი მოწყობილი“.

ამხ. მეუმრავლესეებმა წარმოადგინეს თავისი რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ: 1) მთელი მართვა-გამგეობის მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლა; 2) მთელი ქვეყნის დემოკრატიისადმი მიმართვას, რომ დაჩქარებით მოეღოს ბოლო ომს და ჩამოვარდეს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე; 3) ნიკოლოზ რომანოვს და მოკავშირეთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა გამოქვეყნება; 4) პეტროგრადში პარტიათა კონფერენციის მოწვევას ყველა ფრონტებზე ბრძოლის შესაჩერებლათ და ზავზე მოლაპარაკების დასაწყებათ; 5) დაჩქარებით ეკონომიურ და ფინანსიურ ზომების მიღებას, ქვეყნის განადგურებისაგან გადასარჩენათ. დასასრულ—ნათქვამია რეზოლიუციაში — გვწამს რა, რომ პეტროგრადის ამბები—ეს რევოლიუციონურ დემოკრატიის ბრძოლაა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და რომ უკვე დადგა დრო მართვა-გამგეობის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ხელში გადასვლისა, ჩვენ მოუწოდებთ, რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიის კიდევ უფრო მჭიდროთ შემოკრბეს მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს, როგორც ძალა-უფლების რევოლიუციონურ ორგანოს ირგვლივ და თავის ენერგიულ დახმარებით და ნდობით გაუადვილოს მას მართვა—გამგეობის ხელში ჩაგდება.

მეუმრავლესეთა რეზოლიუციას მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა მისცა ხმა.

ვენე ადათიშვილი.

კონტრ-რევოლიუციონერები სამტრედიაში.

უკანასკნელ დღეებში ზოგიერთები ლაპარაკობდენ ამ სამ დღეში ნახავთ რა მოხდებაო და სხვა. მართლაც 8 ივლისს დაბაში ატყდა სროლა. ხალხი შეშინდა. მილიციონერები მივიდნენ იმ ადგილას, საიდანაც ისროდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩამოსული სამტრედიაში ყოფილი ბოქაული და გამომძიებლის ბინაზე, ერთი აფიცრის დახმარებით განუწყვეტლივ სროლობდენ. ხალხი მოითხოვდა მათ დატუსაღებას. მილიციონერებს ამ ვაჟბატონებმა არ დაუმორჩილდენ იარაღით დაემუქრნენ. ამ დროს რკ. გზის კლუბში კრება იყო მუშ. და ჯარ. კაც. საბჭოსი. მილიციონერები მივიდნენ კრებაზე და შეატყობინეს ეს ამბავი. საბჭომ მიიღო იმ წამსვე ზომები. მივიდა პატრულები ბინაზე, მაგრამ მართლდები უკვე მიმალულიყვნენ. დაუწყეს გამალებით ძებნა არეულობის მოხდენის. ხალხი შემოერტყა საბჭოს ბინას. დაჟინებით მოითხოვდენ მათ დაჭერას და ციხეში ჩამწყვდევას. გაისმოდა ხმები ხალხში მოხსენებული პირები რევოლიუციონური მთავრობის წინააღმდეგ ლაპარაკობენო. მათ მიერ გასროლილი ტყვიებით სახლები დაიცხრილა. ქალები და ბავშვები შიშის ზარმა მოიცვა. გულწასულები ტიროდნენ ყვიროდნენ, რომ ტყვიას თავი დააღწიონ. მართლაც პატრულებმა მოიტანეს სახლებში მოხვდილი ტყვიები და თანაც მოიყვანეს დატუსაღებული გამომძიებელი მელქ. კანდელაკი, ყოფილი სამტრედიის ბოქაული ნესტორ გაბუნია და პორუჩიკი ვლადიმერ გიორგაძე. საბჭოს პრეზიდიუმმა ჩამოართვა ჩვენება მათ. ხალხი მოითხოვდა ციხეში გაგზავნას. ჩვენების დროს დატყვევებული აფიცერი იმუქრებოდა. სამა მაინც დაგაწვენო და სხვა. საბჭომ დაადგინა: მოხსენებული პირები გაგზავნილ იქნენ ამ ღამესვე მატარ. № 10 თფილისში აღმ. კომ. განკარგულებაში. გამოძიება სწარმოებს.

ბუქსი.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ბათუმი (გაგრძელება).

სოც.-დემ. პარტია და რევოლუციონური ორგანიზაციები.

აქ არსებობს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები. უკანასკნელ ხანამდის ისინი ცალ-ცალკე დამოუკიდებელ ორგანიზაციას წარმოადგენდენ. მაისის უკანასკნელ რიცხვებში გაერთიანდენ და ეხლა არსებობს ბათუმის მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭო და მასთან მუშათა სექცია და სამხედრო სექცია. ეს უკანასკნელები დამოუკიდებლათ მოქმედებენ თავის საკუთარ კითხვებში. მუშათა საბჭოში თითქმის ყველანი სოც.-დემ. არიან გარდა 3 კაცისა. ეს უკანასკნელებიც გარდა ერთისა შემოყვანილი არიან კოოპტაციით. ჯ.-კაც. დეპ. საბჭოს ფაქტიურათ ს. დ. ხელმძღვანელობდენ, თავმჯდომარეც ჩვენი ამხანაგია და საერთოთ ყოველივე საქმეს, როგორიც არის გაზეთის გამოცემა და სხვა, ჩვენები განაგებენ. ესერებმა ისარგებლეს იმით, რომ ჩვენები პრაქტიკულ მუშაობაში იყვენ ჩაბმულნი და ჯარის მასსა (განსაკუთრებით მატროსები) მიიზიდეს. ამას ყურადღება მიაქცია, როგორც კომიტეტმა ისე საბჭოში მომუშავე ამხანაგებმა. ამის შემდეგ ჯ. კაც. საბჭოსთან დაარსდა სოც.-დემ. ფრაქცია. მან გამოყო თავის წრიდან ლექტორთა, ორგანიზატორთა და აგიტატორთა ჯგუფი, რომლებიც უმთავრესათ ჯარში მუშაობენ.

ფრაქციაში დაახლოვებით 30 კაცი შედის, მას თავის წარმომადგენელი ჰყავს კომიტეტში და მასთან შეთანხმებულათ მოქმედებს.

მუშაობა ჯარში.

უკანასკნელ დროს მათ კომიტეტმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ჯარში მუშაობას. ჯარ.-კაც. საბჭოსთან სოც.-დემ. ფრაქციის დაარსებამ დიდათ გააღვივა მუშაობა. მათი დახმარებით ხშირათ იმართება ჯარისკაცებთან საუბარი, აგიტაცია და პროპაგანდა. ვრცელდება ლიტერატურა და გაზეთები. ჯარისკაცები ეტანებიან ყოველგან ჩვენს ლიტერატურას. ასეთმა მუშაობამ სულ ცოტა ხანში დიდი ნაყოფი გამოიღო. აღმოჩნდა, რომ ჯარში მრავალი იყო ჩვენი ამხანაგი. დღეს დ ახლოვებით მათი რიცხვი 1000 კაცს აღემატება, ისინი ყველანი ჩაწერილი არიან პარტიაში და შედიან ცალკე რაიონში. სოც.-დემ. ფრაქციას ჰყავს თავის ბიურო და აღ. კომიტეტის ბიუროსთან ერთათ მოქმედებს. ასე რომ ამ მხრით ძლიერ მტკიცე კავშირი არსებობს.

პროფესიონალური კავშირები.

რევოლუციამდის ბათუმში თითქმის არც ერთი პროფესიონალური კავშირი არ არსებობდა. თავისუფლებამ ყველა დარგის მუშები გამოაფხიზლა, ადგილობრივმა კომიტეტმა თავის წრიდან გამოყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიანდო პრ. კავშირების მოწყობა. დღეს თითქმის არც ერთი მუშათა დარგი არ დარჩენილა, რომ პროფესიონალურათ შეკავშირებული არ იყოს. აქვთ საკუთარი ბინები, წესდებები, ყავთ მდივნები და სხვა. პარტიის გავლენა მათზე დიდია. მაგალითათ ლითონზე მომუშავეთა პრ. კავ. გამგეობის 11 წევრიდან 10 სოც.-დემ. სავაჭრო-სამრეწველოს მომუშავეთა პრ. კავ. გამგეობის 11 წევრიდან 8 ს.-დ. და 3 უპარტიო და ასე.

მუშაობა სოფლათ გლეხებში.

ბათუმის კომიტეტს სოფლათ ფართოთ მუშაობა არა უხერხდება, რადგან მას ახლავს მხოლოდ ქობულეთი და აჭარა. ეს უკანასკნელები კი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილი არიან და იქ მუშაობა ძნელია, განსაკუთრებით აჭარაში. მიუხედავათ ამისა, პარტია ცდილობს გააძლიეროს თავისი გავლენა იქ გლეხობაზე. ამ მიზნით ხშირათ იგზავნებიან ამხანაგები და ამავე დროს ვცდილობთ კომისრებათ დავნიშნოთ ჩვენი ხალხი. ქობულეთში, როგორც კულტურულათ უფრო მაღლა მდგომში მუშაობა უფრო ფართოთ არის დაყენებული, არის პარტიული „წრეები“ და დემოკრატიული ორგანიზაციაც ჩვენი ხელმძღვანელობით დგება. კომიტეტს ჰყავს სპეციალურათ დაქირავებული მაჰმადიანი ამხანაგი მათში სამუშაოთ.

ყოველ შემთხვევაში მაჰმადიანთა გლეხობაზე ს. დ. პარტიის გავლენა უფრო მეტია ვინემ სხვა პარტიების.

ლიტერატურის გამომცემლობისა და გავრცელების საქმე.

ლიტერატურის მეტის-მეტათ მოთხოვნილებამ კომიტეტი იძულებული გახადა თვითონ მოეკიდა გამომცემლობისათვის ხელი. ერთი თვეა, რაც საგამომცემლო კომისია მუშაობას შეუდგა. ამ ხნის განმავლობაში გარდა სოც.-დემ. პროგრამისა მან 12 წიგნი გამოსცა იაფ ფასებში. დაახლოვებით 60 ათასი ცალი. მათგან გარდა სამისა ყველა რუსულია. დიდი მოთხოვნილებაა ქართული წიგნაკების, მარა არ არის ძალები, რომელთაც დრო ქონდეს გადათარგმნის ან დაწერის. გავრცელების მხრით ვერ არის ჯერ კიდევ ფართოთ დაყენებული საქმე. ვაწვდით ჯარს, როგორც ადგილობრივათ ისე ფრონტზე. ამ მხრით დიდ დახმარებას გვიწევს სამხედრო სოც.-დემ. ფრაქცია.

გაზეთების გავრცელების საქმე არ არის კარგათ დაყენებული: „ერთობა“ ვრცელდება —800 ც. „ბორბა“—350 ც. „კავ. რაბ“—100 ც. „სოც. დემ.“—100 ც., „ალიონი“ - 150 ც. ჩვეულია მოთხოვნილება გაზეთების მეტია, მარა რადგან ვერ არის დაყენებული გავრცელების საქმე კარგათ, ამიტომ ჯერ-ჯერობით მეტი არ იყიდება. ეს კითხვა დღიურ წესრიგში დგას და იმედი უნდა ვიქონიოთ, გაზეთების გავრცელების საქმე უფრო კარგათ მოეწყობა.

(დასასრული იქნება).

ქ. ერევანი.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო მწვავდება განწყობილება აქ სოც. დემ. და დაშნაკელებთა შორის. დაშნაკელებს ვერ აუტანიათ, რომ აქ, იმათ სამეფოში, თანდათან ძლიერდება ინტერნაციონალიზმის ხმა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა კამათში, სადაც კი ხდება შეტაკება, დაშნაკელები მარცხდებიან: გაბრიელ გაიუჯის და სტარცევის ულმობელი კრიტიკა დაშნაკელების „სოციალისტურ“ პროგრამას ანადგურებენ, აქაური მასსა ჯერ ეჭვის თვალით უყურებდა სოციალ-დემოკრატების გამოსვლებს და ეხლა კი სულ სხვას ვხედავთ: ყველა გრძნობს ჩვენს ზნეობრივ ძალას.

ხ.

ს. ჯურუყვეთი (გურია).

სხვადასხვა მიზეზ პირების წყალობით 1905—1906 წლებში ბევრი მუშაკი მოეგვაშორეს, მაგრამ ხალხი მაინც არ გატყდა და ამ დიდებულ მომენტს მომზადებულათ შეხვდა. აქ შედგა წრე ნიკო დომბოჯანიძის, მიხაკო კვაჭაძისა და ივანე ანთაძის ხელმძღვანელობით და სასურველად მოეწყო პარტიული მუშაობა. პატარა სოფელში 200 მდე წევრია ს. დ. პარტიისა. შეუნელებელმა მუშაობამ შეაჩერა ყოველივე ბოროტი ძალების გამოსვლები. 25 ივნისს აქ მოხდა ამ ორგანიზაციის არჩევნები. აირჩიეს ადგილობრივ კომიტეტში ამხ. ლონგინოზ სიორიძე, ხოლო სამაზრო კომიტეტში მასწ. ნიკო ალ. დომბოჯანიძე.

ნ. ხოფერიშვილი.

დ. ონი (რაჭა).

აქ არსებობს სოც.-დემ. წრე. წევრთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. კვირაში ორჯერ პარტიული კრება ხდება. მეცადინეობას ხელმძღვანელობს ამხ. ბ. იაშვილი.

წარსულ კვირაში ამხ. კ. ჯაფარიძემ წაიკითხა ლექცია მიწის საკითხზე. ამ მოკლე ხანში წაკითხულ იქნება სხვადასხვა ლექციები ეროვნულ და სხვა თემებზე.

ნაურთეველი.

რევოლუცია პროვინციაში

ლანჩხუთი. 2 ივლისს შესდგა ლანჩხუთის სამხედრო სამრეწველო მუშათა საბჭოს კრება. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა სერაპიონ ჩიხაძე, მდივნათ სიმონ ჯუგენავა.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე გვარჯალაძე, დიდი კამათის შემდეგ კრება ღებულობს უცვლელათ მოხსენებას და ადგენს: გაიგზავნოს ფრონტზე მუშათა საბჭოში სხვადასხვა საქმეების გამოსარკვევათ, ერთი კაცი.

ის პირები, რომლებიც ჩაწერილი არიან სამხედრო თვითცვის საქმეში და არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას კრებაზე დაბარებულნი გამორიცხულ იქნას მუშათა რიგიდან და ეცნობოს ეს სამხედრო უწყებას.

სიმონ ჯუგენავას და თედორე [illegible] ინციდენტის შესახებ დაინიშნა კომისია, სიმონ გვარჯალაძე, ისაკო მჭედლიშვილი და იორი ხოფერია.

მომარაგების კამერის შესახებ მოხსენება გადაიდვა შემდეგი კრებისთვის.

ეროვნული დასვენების შესახებ კრებამ საჭიროთ სცნო აღძრას შუამდგომლობა [illegible] წინაშე, რომ განთავისუფლებულ იქნას მუშები ივლისის დამდეგამდის, ვინაიდან ტყის ჰაერი სწორეთ სჭირდება ადამიანის ორგანიზმს.

ნოე გვარჯალაძე.

სოფ. ხევსურთ სოფელი. (თიანეთის მაზრა). 18 თიბათვეს [illegible] ხევსურთ-სოფელში მოხდა დიდი მიტინგი სოფლის სამმართველოს ეზოში. კრებას დაესწრო აუარებელი ხალხი. თიანეთიდან საგანგებოთ ჩამოვიდნენ [illegible]-თიანეთის კომისარი ნიკო ქუმსიაშვილი და ორატორი დიმიტრი გოგიტიძე. ხალხმა ერთხმათ ამოირჩია ორი კაცი კავკასიის გლეხთა ყრილობაზე გასაგზავნათ თფილისში, სვიმონ წიკლაური და ანდრო ბუჯიაშვილი. დიმიტრი გოგიტიძის რჩევით და დავალებით ყრილობაზე დაარსდა სასურსათო კომიტეტი, რომელშიაც შედიან: დ. გოგიტიძე, ნ. ქუმსიაშვილი, სვ. წიკლაური და ა. ბუჯიაშვილი. ყრილობაზე [illegible]-თიანეთის კომისარმა დიდი ყურადღება მიაქცია არაყის გამოხდაზე და გაყიდვაზე. იგი ურჩევდა ხალხს არაყის აკრძალვას, მაგრამ ხალხმა არ ინდომა, და ამის სამაგიეროთ დაადგინა შემდეგი: მთვრალი კაცის დაპერვის ნება აქვს ყველას და იგი უნდა დაპატიმრდეს და დაჯარიმდეს. ასე, რომ ლოთობა უნდა მოისპოს. მიტინგზე დიდი უთანხმოება გამოიწვია პარტიების ბრძოლამ, მიტინგი სოც.-დემ. ჰიმნით.

გოგლა ხულხანოვი.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. მეორე [illegible]. (სამეგრელო). აქ არსებობს უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო, რომელიც ჯერ ჯერობით სახლის უქონლობის გამო მოთავსებულია კოოპერატიული დუქნის ოთახში. საჭიროა მისი სხვაგან გადატანა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ჯერ სახლი ვერ ვიშოვეთ.

ზოგიერთ პირთ სურვილი აქვთ სახლის შეძენის, მაგრამ მაინც ვერ შესძლებენ, ამიტომ საჭიროა სოფელიც დაეხმაროს. მაგრამ როგორც ეტყობა სოფელი გულ-გრილათ უყურებს ამ საქმეს, თორემ ამდენ ხანს სახლი გამოინახებოდა.

სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთებიც საკმარისი აქვს, მკითხველებიც საკმარისი არიან. სხვა არა იყოს რა სირცხვილია მისი დუქანში მოთავსება.

ნარგანი.

სოფ. ჩაქვი. ერთი წელიწადი მალე შესრულდება, რაც ჩაქვის კოოპერატივი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში გამგეობამ ვერ შესძლო მისი რიგზე დაყენება. დაარსებიდან ოთხი თვის განმავლობაში არავითარი საანგარიშო წიგნები არ ჰქონდათ. შემდეგ მოხდა გამგეობაში ცვლილება და ვითომ შემდეგ საქმის გაუმჯობესება, მაგრამ დღემდისაც არც ეს გაგრძელებულა, რადგანაც მოლარემ სამსახურზე უარი განაცხადა. ამ ცვლილებამ გამოიწვია დუქნის ანგარიშიც. ჯერ იყო და თავიდან უთანხმოება არსებობდა გამგეობის წევრებში კოოპერატივის რიგიანათ დაყენების შესახებ და შემდეგ ეს გაუგებრობაც დაემატა ზედ. იქ მიდის მივიდა საქმე, რომ კოოპერატივი დაიკეტა.

სამი დღის შემდეგ გამოირკვა ყველაფერი და გამგეობა თავის ადგილზე დასტოვეს.

საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს წლიური ანგარიში, რომ ხალხმა გაიგოს საქმის მდგომარეობა.

„ოს“

სოფ. ნოღა-ნაგვაზაუ. ამ სოფელში არსებობს ორ-კლასიანი სასოფლო სკოლა და წვრილი საკრედიტო ბანკი და ძლივს ძლიობით გახსნეს კოოპერატივი გასულ წლის საშობაოთ. ნოქრათ დააყენეს ნესტორ კობას ძე სურმავა, რომელიც ერთი თვის შემდეგ ჯარში გაიწვიეს და დუქანი ჩაუბარებელი დარჩა. ხალხმა გაგზავნა კაცი სამხედრო უფროსთან და ხუთი დღით გამოუშვეს. დუქანი უნდა ჩაებარებინა, მაგრამ მან დუქანი არ ჩააბარა და გაუდგა გზას. ინვენტარიშეს დუქანი, დახლს დააკლდა 700 მან. ხალხი გულდაწყვეტილი დარჩა, მაგრამ რას იზამდენ. სანაცვლოთ დააყენეს ნოქრებათ ამბროსი კვანტალიანი და კოსტა ნიკას ძე სურმავა, ვაჭრობა კარგი იყო, გამგეობას საქონელი მოჰქონდა და აწარმოებდენ ნოქრებს და ნისიასაც უშვებდენ, ასე რომ მანეთს აბაზი უნდა მოეგო. გავიდა თვე ნახევარი, ინვენტარიშეს დუქანი, რომელსაც ამ თვე ნახევარში 3,500 მანეთი ევაჭრა. ამ ფულში მოსაგები უნდა დარჩენილიყო 700 მან., ამ 700 მანეთის მაგივრათ ოცი თუმნის მეტი არ გამოჩნდა. ეს რომ ხალხმა გაიგო ძალიან აღელდა, მოახდინეს კრება და ნოქრები უნდა გამოეცვალნათ და დუქანიც უნდა გადაეტანათ მეორე ადგილზე, რადგანაც ის სხვის ეზოში იყო და ვიღაც უთვალთვალებდა. პირველ მაისში, მიწა ნაყიდი იყო და ფულიც მოაგროვეს. კრებამ ამოირჩია ორი ნოქარი, რადგან ძველები უნდა გადაეყენებინათ, მაგრამ ისევ ძველები აქვენ დატოვებულნი და არც დუქანი გადაიტანეს— რაც გამგეობის სისუსტეთ უნდა ჩაითვალოს.

ქ. ნაგვაზაველი.

ხად. ბაირამდი. (მაჰმადიანთა სოფელი). დიდი ხანი არაა რაც აქ დაარსდა კოოპერატიული დუქანი „იმედი“, სადაც 500 წევრი უკვე ჩაეწერა. კოოპერატივი აწვდის მაჰმადიანებს სიმინდს და პირველ მოთხოვნილების საჭირო საგნებს: შაქარს, ფქვილს, ბრინჯს, საპონს, და სხვ. გამგეობის წევრათ აირჩიეს ისეთი პირი, რომელსაც კოოპერატივის [illegible] აქვს. ის [illegible] კოოპერატივის წინამძღოლია.

მადლობის ღირსია ივანე დიმიტრის ძე მეგვია, რომელიც დიდ დახმარებას უწევს კოოპერატივს. მან 2,000 მან. ათხოვა გამგეობას.

ი. კეხაშვილი.

სოფ. ხაჭილა. სკოლაში ეხლა ოთხი წიგნთსაცავ-სამკითხველო არის.

პარტიული კლუბის სასარგებლოთ წარმოდგენა უნდა გაემართათ, კვირას 2 ივლისს, მაგრამ უამინდობის გამო გადაიდვა.

სხრიოვანის ხე-ტყის ქარხ. ადმინ. შეწირა მომავალი სკოლის სასარგებლოთ 500 მ. და 500 მ. მასალა, ივანე ბრეგვაძემ 500 მ. და მისმა ძმამ 150 მან. და ეგრეთვე სხვა დაინტერესებულმა პირებმა, 100—200 მ. ამგვარათ, ეხლა სკოლისათვის შეგროვილია ექვსი ათას მანეთამდის თანხა. ეხლა საჭიროა სახალხო საშუალო კომისარიატის ნებართვა და 1 ენკენისთვიდან დაიწყება (დროებითი დაქირავებულ შენობაში) მეცადინეობა.

მომხმარებელი საზოგ. „კავშირი“, თანხმად ადგილობრივი სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა—შეუდგა სიმინდის ყიდვას. შეძენილი აქვს სამი ვაგონი სიმინდი, მხოლოდ სიმინდის გატანა, აბაშაში ან სამტრედიაში შეუძლებელი არის, ვინაიდან ამ საზოგადოებებში საქონლის ჭირი მძვინვარებს და გზები შეკრულია და მასთან ცხენის წყლის გამო, აბაშის გზა თითქმის დაკეტილია. აღარც პარომია და აღარც ხიდი. ამისათვის კავშირის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა აბაშის სარაიონო სასურსათო კომიტეტის წინაშე, დართოს ნება, სიმინდი მისცეს მახლობელ საზოგადოებებს, ჯურისას და კულაშისს, რადგანაც ისინი დამშეული არიან და სიმინდს საჭიროებენ იმედი გვაქვს ამ შუამდგომლობას დააკმაყოფილებენ.

მეზობელი.

გაზეთის სასარგებლოთ.

ჩემი ძვირფასი შვილის სტუდენტის გრიგოლის (გრიშას) გარდაცვალების წლის თავის (13 ივლისს) აღსანიშნავათ მისი საყვარელი გაზეთის „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ ვაძლევთ მცირედ წვლილს ათ მანეთს (10 მ.). პატივის ცემით

ზურაბ ხერხეულიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ქ-ნ ნინო ნაკაშიძისას!

გაზეთ ერთობის 1-ლ ივნისის ნომერში მე მოვათავსე წერილი, რომლითაც მოვითხოვდი თოთხმეტი დღის განმავლობაში მოგეცათ პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდი სხვა საშუალებისათვის მიმემართა. ხსენებულ შემოწირულების შეგროვებაში მონაწილეობა თქვენც მიიღეთ. ამ წერილის პასუხს თქვენგან ველოდით, მაგრამ დღემდის ამაოთ. ახლა ამით იძულებული ვარ მოგმართოთ კერძოთ თქვენ და აი რატომ: შემოწირული ფულების რაოდენობის ნაწილი მივიღეთ დაზარალებულებმა ზოგი თქვენგან და ზოგიც სხვებისაგან. ხოლოდ უკანასკნელ დროს დაზარალებული ამხანაგების დავალებით მოვედი თქვენთან თფილისში და მოგთხოვეთ ფული, თქვენ ასე მიპასუხეთ: ფული არის ჩემთან ორი ათასი მანეთი და მოგცემთ კიდეც მხოლოდ იმ პირობით, წადი შეეკითხე ამხანაგებს და თუ დაეთანხმებიან ააგეთ აბრეშუმის სახვევი ქარხანა, აირჩიეთ ხე-ტყე ქარხნისთვის, შემატყობინეთ მე და შემდეგ ფულს გადმოგცემთო. თუ ამ წინადადებაზე უარს იტყვიან ამხანაგები იმ შემთხვევაში კატეგორიულათ განმიცხადეთ, რომ ჩემგან ფულს ვერ მიიღებთო. ეს ასეც მოხდა, ამხანაგებმა ამ წინადადებაზე უარი თქვეს, რის შემდეგ არც ჩვენ მოგვემართება თქვენთვის და არც თქვენგან მიგვიღია რამე. ახლა პირველი და უკანასკნელი თხოვნა ჩემი თქვენდამი ეს არის: ამ წერილის დაბეჭდვიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა გადმოგვცეთ ის ორი ათასი მანეთი ფული დაზარალებულებს. თუ ეს არა რაიმე გასამართლებელი საბუთი გქონდეთ და პასუხს გაგვცემთ გაზეთის საშუალებით, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში დღიდან წერილის დაბეჭდვისა.

ლუკა ონისიმეს ძე გაგოშია.

მადლობას უძღვნით ამხ. ონისიმე დარჩიას, რომელმაც ჩვენს უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს შემოსწირა სხვადასხვა თანამედროვე წიგნები ღირებული 5 მან.

ჯუმათის სამკითხველოს გამგეობა აფრასიონ ურატაძე და იაკინთე მექვაბიშვილი.

„სახალხო ფურცლის“ № 889 მოთავსებულია ქვენაზრახვებით შეთითხნილი ცილისწამება ჩვენს წინააღმდეგ.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთ ადგილას ფედერალისტებმა წინააღმდეგ ძალმომრეობას მიმართეს. ასეთი არასასურველი ამბავი დატრიალდა: ქ. ქუთაისში, სამტრედიაში და სხვაგან. სოციალ-დემოკრატია ყველგან შეებრძოლა ასეთ ფიზიკურ საშუალებას და [illegible]. ასეთ ინციდენტს ვერ ავიცდით ჩვენ ვერც ქ. ტრაპიზონში. ჯერ პირველ მაისობას უნდოდათ ქართველ ჯარისკაცებს დაეხიათ მათი დროშა, მაგრამ მივიღეთ ზომები და თავიდან ავიცილეთ სამარცხვინო ხიფათი. შემდეგ, ბათუმიდან გამოსულმა ჯარმა მოინდომა ფედერალისტების კლუბს დარბევა (ჯარში ქართველებიც ბლომათ იყვენ), შეგვატყობინეს ფედერალისტების წარმომადგენლებმა და ჩვენმა პარტიის წევრებმა მაშინათვე მივიღეთ ზომები, გავმართეთ „თავისუფლების მოედანზე“ მიტინგი, ილაპარაკეს კომიტეტის წევრებმა: ამხ. სერებროვსკიმ, პანკრატოვმა, ვ. მერკვილაძემ და სხვ. ყველამ ერთხმად დაგმეს ძალმომრეობა და მოუწოდეს შეგნებისაკენ—ხალხმა ორატორები ტაშით დააჯილდოვა და მშვიდობიანათ დაიშალა. მესამეთ კი გამოიდო 900 ზე მეტი ჯარისკაცი, რომლის უმრავლესობას დეზერტირები შეადგენდენ. გავიგეთ, რა ფედერალისტების კლუბს ემუქრებიანო, მაშინათვე გავიშურე კომიტეტის წევრები: ამხ. კვირიკელია, მდინარაძე და სერებროვსკი, მაგრამ ხალხზე ვერავითარმა დარიგებამ ვერ გასჭრა. შეცვივდენ კლუბში და თუ რამ იყო შიგ დაამსხვრიეს—დახიეს. ყველა პარტიის წევრები სასტიკ პროტესტს უცხადებდენ სტიქიურათ ამხედრებულ ბრბოს. ამხ. კვირიკელია სალდათებისა და მუშების სახელით დაემუქრა მათ: „იძულებული გავხდებით ძალა ვიხმაროთ თქვენ წინააღმდეგ“. ამ სიტყვებმა კვირიკელიას ფედერალისტობა დასწამეს და შეურაცყოფის მიყენება მოუნდომეს. შემდეგ გავმართეთ მიტინგი „თავისუფლების მოედანზე“, მოუწოდეთ მთელ ჯარს და სასტიკათ დავგმეთ და გავკიცხეთ ასეთი ველური საქციელი. ამის შემდეგ განა შეიძლება ჩვენ ბრალი დაგვედოს ფედერალისტების კლუბის დარბევაში?! რაც შეეხება ბუაჩიძის და მასხარაშვილის ინციდენტს, აქ რა მოსატანი იყო, ის რაც ერთი თვის წინეთ მოხდა? ხომ არ გინდათ მკითხველი შეცდომაში შეიყვანოთ? თითქოს ვითომ სოც. დემოკრატებიდან ბრბოს ამშვიდებდენ, მეორენი ბუაჩიძეების სახით აქეზებდენ ფედერალისტების წინააღმდეგ? კარგი ხრიკია! შემდეგ „სახ. ფურცლის“ კორესპონდენტი მართლმსაჯულებას გვიწუნებს: ამბობს „დამნაშავე ბუაჩიძეს კრებაზე კომიტეტმა დაადგინა ბუაჩიძის გაკიცხვა გამოეცხადოსო“ და დასძენს „რა სასტიკი სასჯელი დასდეს“? ნეტა, რა უნდოდა „სახ. ფურცლის“ მართლმსაჯულებს, ხომ არ უნდოდა გამოგვეტანა სიკვდილით სასჯელი ბუაჩიძისთვის? შემდეგ „სახ. ფურცლის“ ფუყარი კორესპონდენტი დასძენს „კარგი რამ სჩვევიათ დასჯილებს გვიკვირდეს, ეგ, ხომ მათი ორგანიული სენიაო“. მადლი და ნუ გადგეცინები!

ვ. მერკვილაძე.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯ. კ. მიხეილ ილარიონის ძე ბერაძე იმყოფებოდა ახალციხეში მე-115-ე სათადარიგო პოლკში მე-4 ბატალიონში მე-15 ე როტაში მესამე ზვოდში. ვთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გაგვაგებინეთ შემდეგი მისამართით. м. Нагомари сел. Букнари. Мелкиседеку Берадзе.

ჯარის კაცი ბიგლარ ეფთიმეს ძე ასამბაძე, მსახურებდა ბათუმში მე 221 სათადარიგო პოლკში. გთხოვთ თუ ვინმემ იცით რამე გვაცნობეთ. Персія, грузинскій стр. полкъ полковой лазаретъ Миріану Асамбадзе.

ჯარის კაცი კონსტანტინე რევაზის ძე მჭედლაძე მსახურებდა მე-16 კავკასიის მსროლელთა პოლკში მე 16 როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ. К. Д. Армія. 16 Туркестанскій стрелковый полки 13 роты Симену М. Бицадзе.

ჩვენი ფოსტა.

ბაქო. ამხ. ებანოიძეს. დაუყოვნებლივ გვაგებინეთ თქვენი ადრესი კანტორა „განათლებას“.

ს. ჩიკვილაძეს თუ ვინმემ გიკითხათ აგვაცნობებთ.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში

წლით 20 მ., ნახევარი წლით 11 მ., სამი თვით 6 მ. ერთი თვით 2 მ.

გაზეთის ფასი ხელის მოწერა. წინდაწინ უნდა გადაიხადოთ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. языкѣ

БОРЬБА

Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.

Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Реманозовичу Таварткиладзе.

Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.

Подписная цѣна на годъ 15 р., на 6 мѣс. 8 р., 3 м. 4 руб. 20 к., 1 мѣс. 1 р. 40 к.

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.